# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 14-15 მარტი. 2020 წ. №47 (8973) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

**გიორგი გახარია:**

## არც ერთ შემთხვევაში არ არის პანიკის დრო!!!

### პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკის ბიძგის ღონისძიებების ნიშანდობლივი გეგმა წარადგინა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებთან ერთად, ეკონომიკის სტიმულირების ღონისძიებების კონკრეტული გეგმა წარადგინა.**

მთავრობის მეთაურის განცხადებით, ყველას კარგად გვესმის, რომ კორონავირუსი არის გლობალური გამოწვევა, რომელსაც ჩვენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით და ერთობლივი ძალისხმევით უნდა ვუპასუხოთ. როგორც პრემიერმა აღნიშნა, არც ერთ შემთხვევაში არ არის პანიკის დრო, ახლა კონკრეტული და ძალზედ ეფექტური ქმედებების დროა.

**„ჩვენთვის, საქართველოს მთავრობისთვის, პირველივე დღიდან უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა და შესაბამისად, ნაბიჯები გადადგმული იყო პირველ რიგში ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის დასაცავად. მეორე ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი ეკონომიკა და ის მასტიმულირებელი ნაბიჯები, რომელიც უნდა გადავდგათ, რათა ნაკლებად აისახოს ეკონომიკაზე ის ზეგავლენა, რომელიც აუცილებლად იქნება“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობამ პირველივე დღიდან შექმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც მოქმედებს ყოველდღიურ რეჟიმში და დგამს იმ ნაბიჯებს, რაც აუცილებელია მოქალაქეების ჯანმრთელობის დასაცავად.

იხ. 2 გვ.

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# განცხადება

**ჯანმრთელობის** დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კორონავირუსის პანდემიად გამოცხადებისა და შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება აკადემიკოსების არჩევნების პროცესის რამდენიმე თვით (ქვეყანაში კორონავირუსის დასრულებამდე) შეჩერების შესახებ.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი**

## ძლივს ევროსაბჭოს გული მოვიგეთ...

**საქართველოს** **პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფის მომხსენებელს საქართველოს საკითხებზე ტიტუს კორლატეანს, საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრსა და სამდივნოს უფროსის მოადგილეს ბას კლეინს და ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელს საქართველოში კრისტიან ურსეს შეხვდა.**

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ისაუბრეს ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებზე, აგრეთვე, ყურადღება დაეთმო მიმდინარე პოლიტიკურ და წინასაარჩევნო პროცესებს.

ევროპის საბჭოს დელეგაციის მხრიდან პოზიტიურად შეფასდა მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის შემდგარი შეთანხმება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. შეხვედრისას, საუბარი შეეხო საქართველოს მიერ ევროპის საბჭოში გაწევრებისას აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ნათია მეზვრიშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ირაკლი ჩიქოვანი და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი ესწრებოდნენ.

**რამაზ საყვარელიძე:**

## ყველა გამოკითხვაში „ნაციონალებს“ დაბალი შედეგები აქვთ!

4

### საიდან მიშისტებს ამდენი ფული?

## პურუჭმელი სამართალი თიანეთურად...

5

6

**დავით გამრეკელი**

## ქართველი ბატისტინი

## გიორგი გახარია:

# არც ერთ შემთხვევაში არ არის პანიკის დრო!!!

(პირველი გვერდიდან) გიორგი გახარიას თქმით, ვირუსის ზემოქმედება ეკონომიკაზე გლობალურად იქნება საკმაოდ დიდი და მთავრობა სრულად უნდა იყოს მზად, რომ ეკონომიკას და ბიზნესს მიეხმაროს, რათა შერბილდეს დარტყმა ეკონომიკაზე, ნეგატიური ზეგავლენები იყოს პროგნოზირებადი და მათზე რეაქცია იყოს დაგეგმილი.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, პირველი დარტყმა მიადგება ტურიზმს — კომერციული სექტორის იმ სფეროს, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში იყო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ძირითადი „დრაივერი“.

**„ამიტომ, ჩვენი ძირითადი ამოცანაა, მაქსიმალურად მივეხმაროთ სექტორს, რომ მათ დარჩეთ ფინანსური რესურსი, რათა შეძლონ როგორც მიღწევების — სამუშაო ადგილების შენარჩუნება, ასევე მოემსახურონ იმ ფინანსურ ვალდებულებებს, რომელიც მათ გააჩნიათ. მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა მსგავს კომპანიებს რაც შეიძლება მეტი ფინანსური რესურსი დაუტოვოს“,** — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი გახარიამ საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზეც ისაუბრა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ყველა კომპანიისთვის, ობიექტური საჭიროების შემთხვევაში, საბანკო სექტორი გარანტირებულად უზრუნველყოფს სესხების რესტრუქტურიზაციას უახლოესი 3-4 თვის განმავლობაში.

ამასთან, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, დაგეგმილი 600 მილიონი დასაბრუნებელი დღგ-ს ნაცვლად, ეს თანხა გაორმაგდება და ეკონომიკას, კომპანიებს დამატებით 600 მილიონი ლარი დაუბრუნდებათ. პრემიერის თქმით, აღნიშნული ინიციატივა ერთი წლის განმავლობაში ეკონომიკას დღგ-ს საშუალებით 1,2 მილიარდი ლარის ოდენობის ფინანსურ რესურსს დაუბრუნებს.

**„ამასთან ერთად, ამოქმედდება სასესხო მომსახურების კომპონენტის საპროცენტო განაკვეთის დაფინანსების უკვე ძალზე კარგად აპრობირებული მექანიზმი. აქ გავზარდეთ სასტუმროების ზომა და 4-დან 30 ნომრამდე სასტუმროებისთვის 6 თვის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთს მოემსახურება სახელმწიფო, სახელმწიფო რესურსიდან. ეს შეეხება დაახლოებით 2 000 სასტუმროს. გარდა ამისა, ჩვენ კარგად გვესმის, რომ გლობალურად ეკონომიკას სჭირდება მხარდაჭერა სხვა ინსტრუმენტებითაც, ამიტომ, მთავრობის გადაწყვეტილებით, კაპიტალურ ხარჯებში და ინფრასტრუქტურულ პროექტებში წლის ბოლომდე დამატებით ინვესტირებული იქნება 300 მილიონი ლარი. ყველაფერი რომ შევაჯამოთ, არის დაახლოებით 1 მილიარდი ლარის ოდენობის რესურსის ეკონომიკაში მიმართვა ან დატოვება კომპანიებისთვის, რამაც ამ ეტაპზე მხარი უნდა დაუჭიროს ჩვენს კერძო სექტორს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ეს საკმარისი არ იქნება და ვნახავთ, რომ გლობალური გამოწვევები და ნეგატიური ზეგავლენა ეკონომიკაზე კიდევ უფრო მძიმე იქნება, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, შესაბამისი გადაწყვეტილებები მივიღოთ“,** — განაცხადა პრემიერმა.

გიორგი გახარიას თქმით, ყველა ის ზომა, რომელსაც მთავრობა იღებს, განსაკუთრებით ტურიზმის სექტორში მოქმედი კომპანიებისთვის, მათ შორის საშემოსავლო და ქონების გადასახადის გადავადების ნაწილში, ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს იმას, რომ კომპანიებმა შესაბამისი მხარდაჭერა უნდა გაუწიონ თავიანთ დასაქმებულებს და მაქსიმალურად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები.

**„ეს არის მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი“,** — განაცხადა პრემიერმა. პრემიერ-მინისტრმა ასევე მადლობა გადაუხადა საბანკო სექტორს გამოჩენილი მხარდაჭერისთვის.

**„ჩვენ გავაგრძელებთ ეროვნულ ბანკთან ერთად საბანკო რეგულაციების თაობაზე საუბარს, იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკის კიდევ უფრო მეტი მასტიმულირებელი ინსტრუმენტები გამოვიყენოთ. აქტიურად ვმუშაობთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, რამეთუ კარგად გვესმის, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოხატული მხარდაჭერის მზაობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უახლოეს პერიოდში ასეთ შედეგს მივაღწევთ“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა „ქართუს“ ინიციატივა და ფონდს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

**„ჩვენ უნდა ვიყოთ ყველანი ერთად და ფონდი „ქართუს“ მიერ გამოხატული ინიციატივა არის საუკეთესო დადასტურება და მაგალითი იმისა, რომ მსგავსი გამოწვევების პირობებში როგორ შევინარჩუნოთ ერთიანობა და როგორ უნდა ვეცადოთ, ერთობლივად ვუპასუხოთ მსგავს გლობალურ გამოწვევებს“,** — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრმა მოქალაქეებს მთავრობისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

## ნათია თურნავა:

# ქონებისა და საშემოსავლო გადასახადის გადავადება მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებსაც ეხება

**ქონებისა და საშემოსავლო გადასახადის გადავადება როგორც მცირე, ისე საშუალო ზომის სასტუმროებისთვის იმოქმედებს და მთლიანობაში ეს 18 ათასზე მეტ სუბიექტს შეეხება,** — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მინისტრის თქმით, გასული წლის 20 ივნისის მოვლენების შემდეგ, როდესაც ასევე საკმაოდ დიდი დარტყმა მიადგა სასტუმროების ბიზნესს, ძალიან ოპერატიულად გადაწყდა და გამოიკვეთა ყველაზე მოწყვლადი ნაწილი — ოთხიდან 20 ნომრამდე ზომის სასტუმროები, სადაც „აწარმოე საქართველოს“ მეშვეობით საბანკო სესხების პროცენტი კრიზისის მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში სუბსიდირებული იქნა.

**„ ამ პროგრამამ კარგად იმუშავა, ახლა მიგვაჩნია, რომ ამ წარმატებული მაგალითის გამოყენებით, ვაფართოებთ სასტუმროების ზომას, მცირე და საშუალო — ოთხიდან 50 ნომრამდე სასტუმროები მიიღებენ იგივე სახის დახმარებას“,** — აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

ნათია თურნავას განცხადებით, გასული წლის მსგავსად, მოხდება საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება, თუმცა, გაიზრდება არეალი და სასტუმროების ზომა, რადგან ტურიზმისა და სასტუმროების ინდუსტრია წარმოდგენილია როგორც მსხვილი, ასევე მცირე საოჯახო სასტუმროებით.

**„ქონების და საშემოსავლო გადასახადის გადავადება ყველა ზომის სასტუმროსთვისაა, თუმცა მცირე სასტუმროები კიდევ უფრო მეტად მოწყვლადია, ამიტომ მათთვის დამატებითი ზომა არის საბანკო სესხების პროცენტის სუბსიდირება მსგავსად იმ მექანიზმისა, რაც ჩვენ საკმაოდ წარმატებულად ავამოქმედეთ გასულ წელს“,** — აღნიშნა მინისტრმა.

ამასთან, ნათია თურნავას ინფორმაციით, სუბსიდირებისთვის საჭირო თანხა გამოიყოფა ბიუჯეტიდან, ეს იქნება „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი თანხა, დაახლოებით 3 მილიონი ლარის ფარგლებში.

# მნიშვნელოვანია, კომერციულმა სექტორმაც იფიქროს იმაზე, რომ მოქალაქეებს მომსახურების ალტერნატიული ფორმები შესთავაზოს

**მინდა, მივმართო ყველა ბიზნესმენს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არა მარტო საჯარო, არამედ კომერციულმა სექტორმაც მაქსიმალურად იფიქროს იმაზე, თუ რისი გაკეთება არის შესაძლებელი, რათა მოქალაქეებისთვის სერვისების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესების გარეშე, მოხდეს ალტერნატიულ ფორმებზე გადასვლა,** — ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

**„ეს იქნება სახლიდან მუშაობა, ონლაინ სერვისი, სამუშაო საათების შეზღუდვა იმისთვის, რომ ჩვენ ზედმეტი მოძრაობა არ ვასტიმულიროთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია“,** — აღნიშნა მან.

# ფონდი „ქართუ“ ებრძვის ვირუსს

**ფონდი „ქართუ“ მზადაა, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს გამოუყოს იმ მოცულობის ფინანსური რესურსი, რაც საჭირო იქნება ვირუსის გავრცელებისგან საზოგადოების დასაცავად,** — ამის შესახებ „ქართუ“ ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომელსაც imedinews-ი უცვლელად გთავაზობთ.

**„დღეს ჩვენი ქვეყანა, მთელ მსოფლიოსთან ერთად, დგას გამოწვევის წინაშე, კორონავირუსის გავრცელების საფრთხე ააცილოს საკუთარ მოსახლეობას.**

**საქართველოს მთავრობა, ყველა შესაბამისი უწყება, მთელი სახელმწიფო აპარატი, პირველივე დღიდან აქტიურადაა ჩართული ვირუსის გავრცელების პრევენციის საქმეში და ძალიან ეფექტიანად ართმევს თავს საზოგადოებისთვის საფრთხის არიდების პროცესს.**

**საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პროცესების კვალიფიციურ და ეფექტურ მართვას ხაზგასმით აღნიშნავენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, რისთვისაც მადლობას ვუხდით ყველა შესაბამის უწყებას, პირველ რიგში, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, იმუნოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ცენტრს, ინფექციურ საავადმყოფოს, ყველა პროფილურ კლინიკას, ამ საქმეში ჩართულ თითოეულ ექიმს, თითოეულ სპეციალისტს და თითოეულ ადამიანს.**

**„ქართუ“ ფონდი, თავის მხრივ, გამოთქვამს მზადყოფნას, ნებისმიერი საჭიროების, ნებისმიერი შესაძლო ფინანსური თუ სხვა სახის დანაკლისის შემთხვევაში, საკუთარი სახსრებით შეავსოს ეს დანაკლისი და სახელმწიფოს გამოუყოს იმ მოცულობის ფინანსური რესურსი, რაც საჭირო იქნება ვირუსის გავრცელების საფრთხისგან საზოგადოების მაქსიმალურად დასაცავად.**

**ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს ბევრი გამოწვევა დაუძლევია და დარწმუნებულები ვართ, ცივილიზებული მსოფლიოს კვალდაკვალ, ერთმანეთის თანადგომით, ამ გამოწვევასაც წარმატებით გავუმკლავდებით“,** — წერია განცხადებაში.

# ბანკები სესხებს სამი თვით გადაავადებენ

**„საქართველოს ბანკი მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით ახალი ინიციატივით გამოდის“,** — ამ შინაარსის ინფორმაციას ბანკი ავრცელებს.

**„საქართველოს ბანკი შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც მომხმარებელზე ორიენტირებული ბანკი, ახალი ინიციატივით გამოდის. კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის თავშეყრის ადგილებში ხალხის ნაკადის შემცირების მიზნით საქართველოს ბანკის მომხმარებელ ფიზიკურ პირებს სასესხო ვალდებულებებზე სამთვიან საშეღავათო პერიოდს სთავაზობს.**

**დღეიდან სამი თვის განმავლობაში ის მომხმარებლები, რომლებსაც სესხის მომსახურების გადახდა უწევდათ, შეძლებენ მაისის ჩათვლით გადაავადონ ყოველთვიური გადასახადი.**

**ბანკი მომავალი კვირიდან დაიწყეს შესაბამისი პროცედურების გატარებას და ეტაპობრივად მოხდება მომხმარებლის ინფორმირება, რისთვისაც არ არის საჭირო ბანკში ვიზიტი. თუკი მომხმარებელს სურს ჩვეულ რეჟიმში გააგრძელოს სესხის მომსახურება, ბანკის მხრიდან მასთან განხორციელებული კომუნიკაციის შემდეგ ის უნდა დაუკავშირდეს ბანკირს, ან დარეკოს ბანკის ცხელ ხაზზე: 2 444 444“,** — აღნიშნულია ბანკის ინფორმაციაში.

* * *

**„საშეღავათო პერიოდი შეეხება სესხის როგორც ძირს, ისე პროცენტს. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ ნაბიჯით თიბისი უმარტივებს ადამიანებს და ბიზნესებს ცხოვრებას. დეტალურ ინფორმაციას სესხების გადავადებასთან დაკავშირებით მომხმარებლები ინდივიდუალურად მიიღებენ“,** — ნათქვამია განცხადებაში.

* * *

**„ლიბერთი ბანკმა, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის, თავის მომხმარებლებსა და თანამშრომლებზე ზრუნვის და ასევე, სერვის ცენტრებში მომხმარებლის ნაკადის შემცირების მიზნით, მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომ ყველა ფიზიკურ პირს, ვისაც გააჩნიათ სასესხო ვალდებულებები, შესთავაზოს 3-თვიანი საშეღავათო პერიოდი.**

**დღეიდან შეთავაზება ავტომატურად ვრცელდება სახელმწიფო სარგოს მიმღებ პირებზეც (პენსია, სოციალური სარგო, დევნილობა და დემოგრაფიული) და მომავალი 3 თვის განმავლობაში, არცერთ სოციალური სარგოს მიმღებ პირს არ ჩამოეჭრება სესხის მომსახურების თანხები.**

**ასევე, ქვეყანაში შექმნილი გარემოების გამო, ლიბერთი ითვალისწინებს ტურიზმის სექტორის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების გამოწვევებს და ამ სექტორში მოქმედ მომხმარებლებს შესთავაზებს დროულ, მოქნილ და მათი ბიზნესის საჭიროებებზე მორგებულ შეღავათიან პირობებს. ბანკი ორშაბათიდან მომხმარებლებს დეტალურ ინფორმაციას შეღავათებთან დაკავშირებით მიაწოდებს ინდივიდუალურად“,** — აღნიშნულია ინფორმაციაში.

# საქართველოს პარლამენტი დისტანციური მუშაობის რეჟიმისთვის ემზადება

**დეპუტატები საკანონმდებლო ორგანოდან პროფესიული მოვალეობის შესრულებას იქამდე გააგრძელებენ, ვიდრე დისტანციური მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით, რეგლამენტში ცვლილება არ აისახება.**

როგორც „2020NEWS“-ს საკანონმდებლო ორგანოში განუცხადეს, აღნიშნული ცვლილება რეგლამენტში, რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდება.

**„ადამიანი, რომელიც მაგალითად, ქრონიკული დაავადების მქონეა, დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადადის. რაც შეეხება დეპუტატებსა და კომიტეტების ჩატარების დროებით შეჩერებას, ამისთვის ცვლილება რეგლამენტში უნდა აისახოს და ეს რაც შეიძლება სწრაფად მოხდება“,** — განაცხადეს პარლამენტში.

# ახლებურად მუშაობაზე გადავიდა თავდაცვის სამინისტროც

**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბრძანება გამოსცა,** — ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინიტრო ინფორმაციას ავრცელებს.

მინისტრის გადაწყვეტილებით, 2020 წლის 12 მარტიდან თავდაცვის უწყების თანამშრომლების გარკვეული ნაწილი დისტანციურ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას. ამავე ბრძანების მიხედვით სამსახურში გამოცხადება აეკრძალა გარკვეულ პირთა კატეგორიას.

**„საქართველოში დაბრუნებიდან ორი კვირის განმავლობაში სამსახურში არ უნდა გამოცხადდეს თავდაცვის უწყების თანამშრომელი, იმ შემთხვევაში თუ:**

**თავად ან მისი ოჯახის წევრები ამ ბრძანების გამოცემამდე ბოლო ორი კვირის მანძილზე იმყოფებოდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ;**

**მასთან კონტაქტი ჰქონდა უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ პირს;**

**პირდაპირი ან ირიბი კონტაქტი ჰქონდა, როგორც პირადად, ასევე ოჯახის წევრის მეშვეობით იმ პირთან, რომელიც იმყოფება თვითიზოლაციაში ან კარანტინში ან დაუდასტურდა კორონავირუსი. ასევე შემდგომ განკარგულებამდე სამსახურში გამოცხადება ეკრძალება:**

**გრიპისმაგვარი დაავადების ან მწვავე რესპირატორული ინფექციის სიმპტომების მქონე პირს;**

**ორსულ ქალს;**

**ქრონიკული დაავადების მქონე/სხვადასხვა სახის იმუნოდეფიციტის მქონე პირს.**

აღნიშნული თანამშრომლები ვალდებულნი არიან მიმართონ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას და ინფორმაცია მიაწოდონ უშუალო ხელმძღვანელს. ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, თავდაცვის უწყების სხვა თანამშრომლების გარკვეული ნაწილი კი დისტანციურ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

ასევე სამინისტროს ყველა მოსამსახურემ საზღვარგარეთ დაგეგმილი პირადი ვიზიტის შესახებ უშუალო ხელმძღვანელს უნდა აცნობოს. გაუქმდება ან გადაიდება თავდაცვის უწყების ყველა მივლინება. ბრძანების მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურეებმა თავი უნდა აარიდონ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს.

# სიახლეა თბილისის საქალაქო სასამართლოში

**კორონავირუსის** გავრცელების პრევენციის მიზნით, მოხელეთა ნაწილი სამსახურებრივ უფლებამოსილებას დისტანციურად განახორციელებს. **დისტანციური გრაფიკით შრომის რეჟიმზე გადასვლის გადაწყვეტილება შეეხება ყველას, გარდა იმ თანამშრომლებისა, რომელთა დისტანციურად მუშაობა სასამართლოს საქმიანობას შეაფერხებს.**

დისტანციური შრომის რეჟიმზე გადასვლა არ ნიშნავს სამუშაო საათების შემცირებას ან თანამშრომელთა შვებულებაში გაშვებას, ამდენად, აღნიშნული გადაწყვეტილება შრომის ეფექტიანობას არ შეამცირებს. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური შრომის რეჟიმზე მყოფი თანამშრომელი ვალდებულია, გამოცხადდეს სამსახურში მოთხოვნისთანავე. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

**„რისკების** ეფექტიანი მართვის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის სტრუქტურულ ერთეულში მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგულარულად მიმდინარეობს სადეზინფექციო სამუშაოები. შესაბამისად, პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილი სადეზინფექციო სამუშაოების გამო, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეული 14, 17 და 19 მარტს, ხოლო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების თბილისის და რუსთავის სერვის ცენტრები — 14 მარტს წყვეტს სამუშაო რეჟიმს და მოქალაქეებს ვერ მოემსახურება“,** — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.



# სასწავლო წელი დამთავრდება იმ ვადებში, რაც დღესდღეობით არის დადგენილი

**შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2019-2020 სასწავლო წელი 15 ივნისს დასრულდება,** — ამის შესახებ „ქრონიკას“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე დგებუაძემ განუცხადა.

მისი თქმით, განათლების სამინისტრო ამ ეტაპისთვის სასწავლო პროცესის გახანგრძლივებას არ გეგმავს. შესაბამისად სასწავლო წელი დამთავრდება იმ ვადებში, რომელი ვადებიც დღესდღეობით არის დადგენილი. **„არდადეგების დასრულების შემდეგ, სკოლებს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, თუ როგორ დაგეგმონ სასწავლო დღეები. ამაში განათლების სამინისტრო მხოლოდ რეკომენდაციით შემოიფარგლება“,** — აღნიშნა დგებუაძემ.

# მოქალაქეებისთვის მომსახურების პირდაპირი წესით მიწოდება შეიზღუდება

**კორონავირუსთან** დაკავშირებით **მოქმედი უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, ფართოვდება იმ დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც მოქალაქეებისთვის მომსახურების პირდაპირი წესით მიწოდება შეიზღუდება. ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გუშინ გამართულ სხდომაზე, საბჭოს წევრებმა ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში ახალი ღონისძიებების შესახებ იმსჯელეს.**

სახელმწიფო უწყებებს მიეცათ დავალება, მაქსიმალურად გადავიდნენ დისტანციური მუშაობისა და სერვისების ელექტრონული მიწოდების რეჟიმზე.

საბჭოს რეკომენდაციით, სერვისის მიმწოდებელ სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ფართოვდება იმ კერძო დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც მომსახურების პირდაპირი წესით მიწოდება მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს. პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაავალა, ამ თემაზე შედგეს ბიზნესთან კომუნიკაცია, რათა აქტიურად დაინერგოს დისტანციური სერვისები კერძო დაწესებულებებში და მაქსიმალურად შემცირდეს მოქალაქეთა პირდაპირი კონტაქტი.

საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, არ გაემგზავრონ საზღვარგარეთ, სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში კი, მკაცრად დაიცვან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი პროტოკოლი. გუშინ სახელმწიფო უწყებების დიდი ნაწილი მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა.

# სულიერი საზრდოც ბრძოლის იარაღია

**შეხვედრას** მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე გიორგი სახოკია ესწრებოდა. **გიორგი სახოკიამ მადლობა გადაუხადა ინტერნეტ-მაღაზია lit.ge-ს, „პალიტრა L“-სა და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“.** გიორგი სახოკიამ მოუწოდა კერძო სექტორს, თავიანთი კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ჩაერთონ საზოგადოებისთვის აქტიურ ღონისძიებებში.

**„ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე შექმნილი ვითარების შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია დღეს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა და ის სოლიდარული პასუხისმგებლობა, რაც ამ კომპანიებმა გამოიჩინეს. მინდა მადლობა გადავუხადო ინტერნეტ-მაღაზია lit.ge-ს, „პალიტრა L“-სა და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ იმ შესაძლებლობისთვის, რომ ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის ხელმისაწვდომს ხდიან, როგორც მხატვრულ, ასევე სამეცნიერო ლიტერატურას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პერიოდში, როდესაც არდადეგები არის გახანგრძლივებული და სასწავლო პროცესი ქვეყნის ტერიტორიაზე დროებით შეჩერებულია. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო კერძო სექტორს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ჩაერთონ საზოგადოებისთვის სასარგებლო ღონისძიებებში“,** — განაცხადა გიორგი სახოკიამ.

# ნუ ვიყიდით შეუფუთავ პურს!

**საქართველოს** **მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე პურთან დაკავშირებულ რისკებზე საუბრობს, მადონა კოიძის განცხადებით, პურის შეფუთვის გარეშე გასაღება ვირუსის გავრცელების რისკებს საგრძნობლად ზრდის და მოუწოდებს სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ პურის რეალიზებასთან დაკავშირებით.**

# მინდა, მოსახლეობა დავამშვიდო, წინასწარ მარაგს ნუ შეიძენენ!

**ჩვენი** **ქვეყნისთვის ძირითადი იმპორტის მომწოდებლები ვინც არიან, ტვირთის მოწოდება შეზღუდული არ არის და მინდა, მოსახლეობა დავამშვიდო, წინასწარ მარაგებს ნუ შეიძენენ,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა ივა ჭყონიამ განუცხადა.

**„ბიზნესასოციაციამ დააყენა საკითხი, რომ მოხდეს სკოლების გადასახადის გადავადება. შეიძლება დიდი ეკონომიკური დარტყმის წინაშე აღმოვჩნდეთ, რეალურად ბიუჯეტს ბიზნესსექტორი ავსებს და ამიტომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესის გვერდით დგომა“,** — აღნიშნა ჭყონიამ.

# საიდან მიშისტებს ამდენი ფული?

**როგორც ვიცით, საარჩევნო მოდელთან დაკავშირებით შეთანხმება მიღწეულია. ოპოზიცია და მმართველი გუნდი 120/30-იან მოდელზე და ერთპროცენტიან ბარიერზე შეჯერდნენ. რაც შეეხება უმრავლესობის დასაკომპლექტებელ ბარიერს, ე.წ. ჩამკეტ მექანიზმს, ის 40 პროცენტით განისაზღვრა.**

**აღნიშნულ საკითხზე „რეპორტიორთან“ პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე საუბრობს.**

## რამაზ საყვარელიძე:

# ყველა გამოკითხვაში „ნაციონალებს“ დაბალი შედეგები აქვთ!

**— ბატონო რამაზ, როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია, კმაყოფილი დარჩა მიღებული გადაწყვეტილებით. არ ფიქრობთ, რომ ამ ნაბიჯით ხელისუფლება კომპრომისზე წავიდა?**

— მთავარია არა ის, რომ ორივე მხარე კმაყოფილია, არამედ ის, რომ სამივე მხარე კმაყოფილია. როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია და ჩვენი უცხოელი პარტნიორები. რაც შეეხება მოსახლეობას, მგონი, ეს საკითხი მათ ნაკლებად აინტერესებთ და ნაკლებადაც არიან გარკვეული. უცხოელ პარტნიორებს, რომლებიც ორგანიზებას უწევენ საარჩევნო ცვლილებების პროცესს საქართველოში, აქვთ ოპტიმისტური მოლოდინი, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა დადებით შედეგებს მოიტანს. ისინი ასევე, კომპრომისის მომხრენიც არიან.

ხელისუფლება, რასაკვირველია, ამ ნაბიჯით, გარკვეულ კომპრომისზე წავიდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოპოზიცია მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას არ აპირებდა, მათაც მოუწიათ რაღაცის დათმობა. ამიტომ, ორივე მხარემ გადადგა ნაბიჯები დასავლელი პარტნიორების ხათრით, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაეგდოთ ისინი და ურთიერთობებიც შეენარჩუნებინათ.

**— ქვეყნის 40-ზე ნაკლებ ოლქად დაყოფა, როგორც ვიცით, ყოველთვის პრობლემა იყო და ეს ალბათ ამჯერადაც შექმნის პრობლემებს...**

— რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ პრობლემებს შექმნის. ეს 30 ოლქი იქნება ძალიან მსხვილი ოლქი, სადაც ამომრჩეველი, ფაქტობრივად, არც კი იცნობს პიროვნებას, ვისაც ხმას აძლევს. მაჟორიტარულ სისტემას ის აქვს დადებითი, რომ პიროვნებას, რომელსაც ირჩევს, იცნობს ამომრჩეველი, პროპორციული არჩევნების შემთხვევაში კი, პიროვნული ფაქტორი თითქმის ნულამდე დავა. დიდი რაოდენობის ადამიანებში უკვე მათი მოძებნა, ვისაც საზოგადოება ენდობა, ძნელი იქნება. ასე რომ, პრაქტიკულად, ისევ პარტიული ნიშნით აირჩევენ, ანუ პროპორციული არჩევანიც მაჟორიტარული სისტემის ნაწილი გახდება.

**— თუმცა, სისტემა 2024 წლამდე, ჯერ კიდევ შერეულად ითვლება. როგორ ფიქრობთ, გაამართლებს თუ არა პროპორციული საარჩევნო სისტემა ჩვენს ქვეყანაში?**

— თუ კი 30 ოლქში გვეყოლება მაჟორიტარები, ისინი მაჟორიტარებიც არ იქნებიან, ისინი იქნებიან პარტიების წარმომადგენლები. ასე რომ, შერეულზე კიდევ უფრო ნაკლებად მაჟორიტარულია ეს სისტემა, ძალიან მიახლოებულია პროპორციულთან. გამართლების თვალსაზრისით, ბევრ ქვეყანაში არ ამართლებს პროპორციული სისტემა, ზოგან — ამართლებს. ცოტა ჭკუაც უნდა იმისათვის, რომ გაამართლოს. უბრალოდ, ქართველებს, მგონი, ჭკუა არ გვყოფნის ამ შემთხვევაში და პოლიტიკური კულტურაც ნაკლები გვაქვს. იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური კულტურა სუსტი იყო, შემოიტანეს მაჟორიტარული სისტემა, რადგან ორიენტაცია იყოს პიროვნებებზე და არა მცირერიცხოვან პარტიებზე. ამიტომ, არჩევნები ამერიკაში სრულიად მაჟორიტარული სისტემით მიმდინარეობს და მიაჩნიათ, რომ ეს ზრდის დეპუტატის პასუხისმგებლობას ამომრჩევლის მიმართ. ამიტომ შეგნებულად ამჯობინებენ სისტემის იმ ხარვეზს, რომ შეიძლება ხმათა რაოდენობა პროპორციულად არ გადანაწილდეს, ვიდრე მატარებელივით შეიყვანოს რამდენიმე კაცმა პარლამენტში ხალხი, რომელსაც მოსახლეობასთან არანაირი კონტაქტი არ ექნება, როგორც პროპორციული სისტემისთვისაა დამახასიათებელი.

ამ პრინციპიდან თუ გამოვალთ, ჩვენი ქვეყნისთვის პროპორციული სისტემა ძალიან ცუდია. იმიტომ, რომ არ გვაქვს ჩამოყალიბებული პარტიული სპექტრი, გვაქვს მოსახლეობასთან კონტაქტის დეფიციტი და გარდა ამისა, პარტია ლიდერზეა ორიენტირებული. ამერიკელების ერთ-ერთი პრინციპი ის იყო, რომ პარტიების ლიდერები არ იქცნენ ბელადებად. ამიტომ ატარებენ არჩევნებს მაჟორიტარული სისტემით. ჩვენ კი ბელადებად გადაქცევის ტენდენციაც გვაქვს. რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ არ გვინდა ბელადი, რომელი პარტიაც გაიმარჯვებს, რა თქმა უნდა, მისი თავმჯდომარე იქნება ბელადი.

აქ კიდევ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი. ადრე ირაკლი კობახიძემაც აღნიშნა, რომ თუ არ გადაილახა კონკრეტულად ერთი პარტიის მიერ ბარიერი და პარტნიორობა აღმოჩნდა საჭირო შიგნით კოალიციაში, შეიძლება ეს ყველაფერი გართულდეს და დიდხანს გაგრძელდეს მთავრობის ფორმირების პროცესი, თუ საერთოდ შედგა. არც ისაა გამორიცხული, რომ ვერ შეთანხმდნენ პრემიერ-მინისტრზე და ხელახალი არჩევნებიც დაინიშნოს.

**— თქვენი აზრით, რა შანსები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნების ასეთი მოცემულობით?**

— ყველა გამოკითხვაში, „ნაციონალებს“ დაბალი შედეგები აქვთ! ყველა არჩევნებში, სადაც თუნდაც ერთი კაცი უნდა გაეყვანათ, მათ წააგეს. ასე რომ, ხელისუფლებასთან მიახლოების შანსი მათ თითქმის არა აქვთ. „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯერაც თავისი მუდმივი ამომრჩეველი ჰყავს და ამ ამომრჩევლის ხარჯზე იღებს ხმათა იმ რაოდენობას, რომელიც მათ მეორე ადგილზე ამყოფებს. ხმების ეს რაოდენობა უზრუნველყოფს იმას, რომ ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხით დაფინანსდნენ. მეტი არც არაფერი უნდათ. არჩევნების სტატისტიკა და სოციოლოგიური გამოკვლევები მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობა „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად არ არის განწყობილი!

**— ოპოზიციის მეორე მოთხოვნა ხელისუფლების მიმართ ე.წ. პოლიტპატიმრების გათავისუფლებაა. როგორ ფიქრობთ, ჰყავს ჩვენს ქვეყანას პატიმრები პოლიტიკური ნიშნით?**

— გააჩნია, რას გულისხმობენ — კრიმინალურ პატიმარს თუ პოლიტპატიმარს? ალტერნატივა ასეთია, დანაშაულის გამო დაჭერილი პატიმრების გათავისუფლებას ითხოვენ თუ პოლიტიკური მოღვაწეობის გამო დაჭერილების? რაც „ნაციონალური მოძრაობიდან“ გვახსოვს, მათ უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია, დღესაც მიშა სააკაშვილის ფულზე დგას და საიდან აქვს სააკაშვილს ამხელა ფული? — ე.ი. ჰქონდა ადგილი კრიმინალურ სქემებს მათი მმართველობის პერიოდში, საიდანაც ფული დაუგროვდა ამ პარტიას. კონკრეტულად, გიგი უგულავას თუ სხვა პირის მონაწილეობა რა დოზით იყო ამ დანაშაულებრივ სქემაში, ეს კიდევ სხვა საკითხია. ეტყობა, დიდი დოზით იყო უგულავა ჩართული. ადეიშვილი, მაგალითად, სულ არ ჩამოდის და არც ჩნდება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რადგან კარგად იცის, რაც აქვს ჩადენილი! ამიტომ, იმის გამო „ვენების გადაჭრა“, რომ უგულავას დანაშაულზე პასუხს მხოლოდ პოლიტიკური მოტივით სთხოვენ, ღიმილისმომგვრელი და გამაღიზიანებელია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის.

**— გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ თუ ე.წ. პოლიტპატიმრებს არ გაათავისუფლებენ, ოპოზიცია შემდგომ ნაბიჯებს აღარ გადადგამს...**

— ეს არის მოთხოვნა მოთხოვნისთვის. მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალები“ და „ევროპული საქართველო“ ძირში და მსოფლმხედველობით ერთნი არიან, ერთმანეთზე მზე და მთვარე ნამდვილად არ ამოსდით. მათ უბრალოდ, სჭირდებათ ერთი და იმავე ადამიანების ხმა და ერთმანეთის ალტერნატიული კონკურენტები არიან. ან ერთი უნდა აირჩიონ, ან მეორე.

რაც შეეხება იმას, რომ ხელისუფლებას მოსთხოვო უგულავას თუ სხვების გათავისუფლება, ამ პრინციპს ხელისუფლება ვერ გაატარებს, რადგან ამ შემთხვევაში ეს იქნება აღიარება, რომ, ქვეყანას ნამდვილად ჰყავს პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პატიმრები. საკმარისია, გათავისუფლდეს უგულავა, მაშინვე ატყდება ყვირილი, რომ რადგან ოპოზიციამ მისი გათავისუფლება მოახერხა, ის პოლიტპატიმარი იყო. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება პრინციპულად არ უნდა ჩაერიოს სამართალდამცავი სტრუქტურების საქმეში, თორემ ეს იქნება უკვე არგუმენტი პოლიტპატიმრების არსებობისა.

რაც შეეხება ხალხის მოთხოვნას, მათ კიდევ სხვა მოთხოვნები აქვთ, სხვა მეხსიერება და არა მხოლოდ დასახელებული პირების, „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერების პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებენ. თუ წარსულს გადავხედავთ, კიდევ ათასობით საჩივარს ამოვატივტივებთ „ნაციონალების“ წინააღმდეგ. ისმის ლოგიკური შეკითხვა — საიდან აქვთ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ამდენი ფული? შეესაბამება თუ არა მათი ხარჯები იმ თანხას, რასაც დღეს ბიუჯეტი აძლევს? დავფიქრდეთ ამაზე. მხოლოდ სარეკლამო დროისთვის არ ეყოფა „ნაციონალურ მოძრაობას“ ეს თანხები. საკითხის ასე დაყენება ძალიან ბევრ საკითხს წამოსწევს წინ და, რა თქმა უნდა, დამნაშავეთა რიცხვსაც გაზრდის.

**ესაუბრა**
**ნონა ქარქაშაძე**

# კრიზისს ის ქვეყნები დაძლევენ, რომლებიც სწრაფად შეძლებენ გადაწყობას და ადაპტირებას

**აშშ-ში მცხოვრები ფინანსისტი თემურ ბასილია კორონავირუსის ეკონომიკურ და ფინანსურ შედეგებზე „კომერსანტთან“ საუბრობს. მისი თქმით,11 მარტს აშშ-ის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ შეწყდება ყველა სახის მგზავრობა და ტრანსპორტირება 30 დღის განმავლობაში. ეს გამოწვეულია კორონავირუსის გავრცელების სწრაფი ტემპის გამო. პრობლემა თანდათან უფრო სერიოზული ხდება, რასაც გავლენა აქვს და კიდევ უფრო მეტად ექნება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.**

როგორც ბასილია აცხადებს, ეს სიტუაცია აისახა ეკონომიკაზეც. მაგალითად, ბოლო ერთი თვის მანძილზე აშშ-ში ფასიანი ქაღალდების ინდექსი 25%-ზე მეტად დაეცა, რაც ნიშნავს, რომ ადამიანებმა დაკარგეს თავიანთი დანაზოგების 25%-ზე მეტი. ეს გაცილებით დიდია, ვიდრე 2008 წლის კრიზისით გამოწვეული დანაკარგები. პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით სიტუაციის გაუმჯობესების ნიშნები არ ჩანს.

მისი განცხადებით, რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის ფედერალურმა რეზერვებმა გამოაცხადეს საპროცენტო განაკვეთის საგანგებო შემცირება, რათა შეეფერხებინათ ეკონომიკის ვარდნა; მაგრამ, სიტუაცია იმდენად რთულია, რომ ამ განსაკუთრებულ მოვლენას რაიმე საგრძნობი შედეგი არ მოყოლია.

**„ევროპიდან აშშ-ში ფრენების აკრძალვა აუცილებელი ნაბიჯია ვირუსის გავრცელების შეფერხების მიზნით. თუმცა, ასევე უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი ნაბიჯები აისახება ეკონომიკაზეც: კერძოდ, მცირდება ბიზნესაქტიურობა, მცირდება საერთაშორისო ფრენები, ნაკლებად არის დატვირთული სასტუმროები, საგრძნობლად შემცირდა რესტორნებში შემსვლელთა რაოდენობა, შემცირდა ტურიზმი, შემცირდა გაყიდვები მაღაზიათა ქსელებში. მიუხედავად ამისა, აშშ-ის ეკონომიკა საკმაოდ მძლავრია და დარწმუნებული ვარ მინიმალური დანაკარგებით გაუმკლავდება ამ სიძნელეებს. გადაწყვეტილება ევროპის ქვეყნებიდან ფრენების დროებით შეწყვეტის თაობაზე გაცილებით მძიმედ აისახება ევროგაერთიანების ქვეყნებზე, რადგან აშშ ყველაზე დიდი ბაზარია და მისი გარკვეულწილად, თუნდაც დროებით დაკარგვის კომპენსაცია პრაქტიკულად შეუძლებელია“,** — აღნიშნავს ბასილია.

**„არაერთხელ გვისაუბრია, რომ საქართველოში, რა თქმა უნდა, ტურიზმი უნდა განვითარებულიყო, მაგრამ უმთავრესი პრიორიტეტი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უნდა ყოფილიყო, რაც, უპირველეს ყოვლისა, ხელს შეუწყობდა ადგილობრივ წარმოებას. საბოლოოდ, ის რეალობა არის შექმნილი, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება ძირითადად ტურიზმზეა დამოკიდებული. ტურიზმის მოცულობა კი, მიმდინარე წელს ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გამო შემცირდება. სამწუხაროდ, ასევე შემცირდება უცხოეთიდან გადმორიცხვები, რადგან ზოგადად ეკონომიკური სიტუაცია გაურესდება და ბუნებრივია, ეს გავლენას იქონიებს უცხოეთში მყოფ ქართველებზე და მათ ფინანსურ მდგომარეობაზე.**

**მოკლედ, ადაპტირება არის აუცილებელი არსებულ რეალობასთან. რეალობა კი გახლავთ ის, რომ ღია ეკონომიკებს, გლობალიზაციას სერიოზული ზიანი მიადგა კორონავირუსით. საჭიროა გადაწყობა ისეთ მოდელზე რომელიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს საკუთარი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კრიზისის დაძლევას ის ქვეყნები შეძლებენ, რომლებიც სწრაფად შეძლებენ გადაწყობას და ადაპტირებას“** — აცხადებს ბასილია.

# პურუჭველი სამართალი თიანეთურად...

**ზოგჯერ** სარედაქციო ფოსტით ისეთი წერილები მოდის, ჯერ დიდხანს მისი არსის გარკვევას ვუნდებით, მერე ვფიქრობთ — ეს რა საგაზეთო თემაა, როცა ქვეყანაზე ამდენი უბედურება ტრიალებს, ამიტომაც გვერდზე გადადება გვიწევს, როგორც „სარედაქციო მოსაზრებით გამოუსადეგარისა“, მაგრამ... გადის გარკვეული დრო და გუნებაში ისევ ის ამბავი ტრიალდება, ფიქრი მოსვენებას გიკარგავს კაცს — ადამიანს დარდი აქვს, შემოგჩივლა, გარკვეულ შველას, თანაგრძნობას ელის... ჰოდა, გინდა-არგინდა, კვლავ უბრუნდები სხვის სატკივარს და დახმარებას ცდილობ.

**ამჯერადაც ასეა, მაგრამ რა საშველი დაადგება წინამდებარე მასალით თიანეთის რაიონის ზარიძეების საკრებულოს ყოფილ დეპუტატს ფატმან სუარიშვილს, ძნელი სათქმელია, თუმცა მე ჩემი მხრიდან ყველანაირად შევეცდები.**

ზემოთ „ცდა“ ვახსენე, მაგრამ რედაქციაში შემოსული მასალების გაცნობისას უცბად ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება, რასაც ქვემოთ შევეხები, ახლა კი თავდაპირველად ორიოდ სიტყვას თავად ქალბატონ ფატი სუარიშვილზე მოგახსენებთ. თუკი მისი ავტობიოგრაფიით ვიმსჯელებთ, ერთობ მძიმე ცხოვრება ჰქონია გამოვლილი. ადრე დაობლებულ რვა დედმამიშვილში იგი ერთადერთი ქალიშვილი ყოფილა, თუმცა, იმის მიუხედავად, რომ პატარა გოგონა უმცროს ინვალიდ ძმას უვლიდა, უფროსი ძმა, როგორც თავად ამბობს, **„ასაკისთვის შეუფერებელი საქმიანობით ტვირთავდა“** — ძროხებს, ღორებს და ცხვარს ამწყემსინებდა. მერე ჯერ სკოლაში, შემდეგ საბავშვო ბაღში მუშაობდა მწირ გასამრჯელოზე, მაგრამ მერე და მერე წინ წაიწია, თიანეთის რაიონში ექსპერიმენტული სკოლა-ბაღის აღმზრდელად დაიწყო მუშაობა, მერე კი სულაც ზარიძეების საკრებულოს დეპუტატიც გამხდარა...

ქალბატონ ფატი სუარიშვილის რედაქციისთვის მომართვის მიზეზი კი შორეულ 90-იან წლებში მომხდარი ამბავია, როცა ის, თამარ ჩოხელი და თამარ გოჯილაშვილი თიანეთის მაღაზიის გამყიდველმა ელისო მათურელმა მუშამბის ყიდვისას მოატყუა. საქართველოს შს სამინისტროს თიანეთის რაიონის შს რაიონული განყოფილების გამომძიებლის შ. კოჭლაშვილის მიერ ფატი სუარიშვილის სახელზე გაგზავნილ პასუხში, კერძოდ, აღნიშნულია (რომლის ასლი თიანეთის რაიონის პროკურორ ვ. ქაცინაშვილს გადაეგზავნა): **„გამყიდველმა მათურელმა სამ მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა და მიითვისა 63 მანეთი და 07 კაპიკი“**. ამით საქმის გამოძიება დამთავრდა და განსახილველად თიანეთის სახალხო სასამართლოს გადაეგზავნა.

ქალბატონ ფატი სუარიშვილის მიერ რედაქციაში ასევე გამოგზავნილია მის სახელზე მიღებული პასუხები საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე იურიდიულ საკითხთა კომიტეტებიდან და საქართველოს გენერალური პროკურატურიდან.

ბუნებრივია, იბადება კითხვა — თუ რატომ გადაწყვიტა მან ამ მაღალი ინსტანციებისთვის სათანადო განცხადებებით მიმართვა და რა გახდა მისი უკმაყოფილო კომენტარების მიზეზი, რომლებიც ამ პასუხებს საკუთარი ხელით მიაწერა?

საქმე კი ისაა, რომ გამყიდველის მიერ მომხმარებელთა მოტყუების საქმეს ერთობ მოულოდნელი გაგრძელება მოჰყოლია, რაზეც იგი წერს:

**„1991 წლის დეკემბერში თიანეთის პოლიციის შენობაში ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა ამ განყოფილების თანამშრომელმა, ავტოინსპექტორმა ნ. რიგიშვილმა, ეგონათ, მოვკვდებოდი და საქმე შექმნეს, „ვითომ კიბეზე დავეცი“. გონს რომ მოვედი, კაბინეტში იყო პოლიციის უფროსი და პროკურორი, მათთან განვაცხადე, თუ ვინ მომაყენა შეურაცხყოფა და დაადასტურა ჩემ გვერდით მყოფმა გამომძიებელმა შ. კოჭლაშვილმა** (იგი მომხმარებელთა მოტყუების საქმეს იძიებდა. — **რედ.**).

**საავადმყოფოში არ დავწექი, იქ მომკლავდნენ, ვიწექ ბინაზე და როდესაც შევძელ სიარული, დავიწყე ჩივილი“.**

ეს გახლავთ ქალბატონ ფ. სუარიშვილის ორი საჩივრის ამბავი. რედაქციაში მიღებული მასალებიდან არ ჩანს, თუ რა ბედი ეწია გამყიდველ ე. მათურელს, რომელსაც მისი ნათესავი ავტოინსპექტორი გამოექომაგა და დაზარალებულს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, სამაგიეროდ, არის 1994 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული თიანეთის რაიონის სასამართლოს განჩინება 1/24 საქმეზე (მოსამართლე გ. ჯაბანაშვილი), რომელიც ნ. რიგიშვილის საქმესთან დაკავშირებითაა მიღებული). მასში, კერძოდ, აღნიშნულია: **„მან ჩაიდინა ხელისუფლებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება... რითაც არსებითი ზიანი მიაყენა მოქალაქის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რასაც თან ძალადობა ახლდა. ასევე ჩაიდინა სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება“.**

დასასრულ კი აღნიშნულია: **„თანახმად საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დადგენილებისა ამნისტიის შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1992 წლის 27 თებერვლით და რომლის მესამე პუნქტშიც მითითებულია, რომ უნდა შეწყდეს ამნისტიის კანონიერ ძალაში შესვლამდე ჩადენილ დანაშაულთა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლოებში განუხილველი საქმის წარმოება, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც ჩამოთვლილია ამ დადგენილების მე-4 პუნქტში, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაული ჩადენილია 1991 წლის 21 დეკემბერს, ე.ი. ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე და ამნისტიის აქტის მე-4 პუნქტში მითითებული არ არის 111-ე და არც 187-ე მუხლები, საქმე ექვემდებარება შეწყვეტას“.**

ამრიგად, **სასამართლოს ავტოინსპექტორი ნ. რიგიშვილი უდანაშაულოდ არ უცვნია, ამნისტიის აქტის საფუძველზე მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დევნა შეწყდა.**

რედაქციაში სხვა შეკითხვა დაგვებადა: **ნუთუ ამ ხნის განმავლობაში არც პარლამენტის კომიტეტებში, არც რაიონულ სამართალდაცვის ანდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში არავინ გამოჩნდა იმდენად კვალიფიციური, ანდა უბრალოდ, გულისყურიანი მუშაკი, ვინც ამას გასაგებად აუხსნიდა ორჯერ დაზარალებულ ქალბატონს?**

ან კი ზემოთ რომ აღვნიშნე, ყურადღება ერთ გარემოებას უმალ მივაქციე-მეთქი: გამყიდველმა ე. მათურელმა მომხმარებლები 1991 წელს მოატყუა, ფ. სუარიშვილი ავტოინსპექტორმა ნ. რიგიშვილმა იმავე წლის 21 დეკემბერს სცემა, პასუხისგებაში კი რატომღაც 1994 წლის 27 აგვისტოს, ანუ თითქმის სამი წლის შემდეგ(!) მიეცა.

**განა ამ უმარტივეს საქმეს სამწლიანი გამოძიება სჭირდებოდა, თუ ქალბატონი ფ. სუარიშვილი მართალია, როცა წერს, რომ თიანეთის რაიონში დამნაშავე სამართალდამცველს მრავალი მფარველი ჰყავდა და სწორედ ამის გამო იყო, რომ „სამართალმა პური ვერ ჭამა“?!**

**ოთარ ტურაბელიძე**

# არჩევნებში „ოცნების“ დამარცხების შემდეგ, სასამართლო რეფორმას განვახორციელებთო

**ძვეყნის მართლმსაჯულების უმაღლეს ინსტანციასთან, უზენაეს სასამართლოსთან 20-მდე ოპოზიციურმა პარტიამ, სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით, მემორანდუმი გააფორმა.**

დოკუმენტი გულისხმობს, რომ სასამართლო სისტემის რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად და მისდამი ნდობის სწრაფად გაჩენის მიზნით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხების შემდეგ, განახორციელებენ რეფორმებს და დაისახავენ სხვადასხვა ამოცანას.

მემორანდუმის ტექსტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან:

ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება რეფორმის დაწყებიდან პირველი წლის ბოლოს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე; შემდეგი ოთხი წლის მანძილზე — ყველა დანაშაულზე, რომელიც პატიმრობას ითვალისწინებს;

2021 წლის ბოლომდე მოსამართლის არჩევითობის შემოღება პირველ ინსტანციაში, რომელიც განიხილავს საქმეთა უმრავლესობას; სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულს, ნაფიც მსაჯულთან ერთად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში კი მოსარჩელეს, ექნება შესაძლებლობა აირჩიოს მისი საქმის განმხილველი მოსამართლე, იქნება ის დანიშნული თუ პირდაპირი წესით არჩეული მოსამართლე;

საკონსტიტუციო ცვლილებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გაერთიანება; საკონსტიტუციო ცვლილების გზით — 2017 წლიდან მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ყველა აქტის გაუქმება;

უზენაეს და სააპელაციო ინსტანციებში აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოდან მოსამართლეების დანიშვნა ხანგრძლივი ვადით, რომლებიც ყველა შესაძლო კოლეგიის უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ;

სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე სახელმწიფოსა და ბიზნესს ან მოქალაქეს შორის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ) დავებზე, აშშ-ს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ პრეცედენტებად აღიარება.

მემორანდუმს ხელს აწერენ შემდეგი პარტიები: „ევროპული საქართველო“, „გირჩი“, „ნაციონალური მოძრაობა“ , „სამოქალაქო მოძრაობა“, „კანონი და სამართალი“, „გამარჯვებული საქართველო“, „ახალი საქართველო“ და სხვები. მემორანდუმს არ უერთდება პარტია „ლელო საქართველოსთვის“.

# მარტვილში ორი უკანონო სახერხი გამოავლინეს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მარტვილის მუნიციპალიტეტში ორი დაურეგისტრირებელი სახერხი საამქრო გამოავლინეს.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ სალხინოში — ლენტური ტიპის, სოფელ თამაკონში კი, ცირკული ტიპის უკანონო სახერხი საამქროები გამოავლინეს. საამქროების მიმდებარედ, მოქალაქეებს, ჯამში, 200 ერთეულზე მეტი წიფლისა და ფიჭვის სახეობის ფიცარი ჰქონდათ განთავსებული.

# დაკავებულია თაღლითობისთვის

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა მოქალაქის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, ნდობაში შევიდა ერთ-ერთ მოქალაქესთან და მოტყუებით დაარწმუნა იგი, რომ შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში, შიდა ქართლის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მეშვეობით, დაეხმარებოდა მისთვის სასურველი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთის ელექტრონულ აუქციონზე საპრივატიზაციოდ გატანაში. ამ თაღლითური განზრახვით, ბრალდებულმა მოქალაქეს მოსთხოვა და გამოართვა 7 000 აშშ დოლარი, რა დროსაც ის დააკავეს.

დანაშაული სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ქართველი გაგისგინი

**რადიოს მიყურადებული ჟერმონის არიას ვისმენ ვერდის ოპერიდან „ტრავიატა“. შესრულება მართლაც შთამბეჭდავია. მას ლამაზი, ხავერდოვანი ტემბრის, კანტილენური ჟღერადობის მქონე მომღერალი ასრულებს. უამრავი ცნობილი იტალიელი მომღერალი მყავს მოსმენილი გრამფირფიტების მეშვეობით. გაგონილი, რომელიღაცა მომღერლის ხმას მაგონებს. ეს ხომ უდიდესი იტალიელი ბარიტონი ბატისტინია, რომელიც „ბელ კანტოს“ სტილის მამამთავრად ითვლება. არადა, რადიოში ჩვენი სასიქადულო თანამემამულე, გასაოცარი ხმის და შესაძლებლობების მქონე დავით გამრეკელი მღეროდა. მსგავსება იტალიელ და ქართველ მომღერლებს შორის აშკარა იყო. მონუსხული ვუსმენდი. სიმღერა დასრულდა, მაგრამ კარგა ხანს ვერ გამოვედი შთაბეჭდილებიდან. მაშინ, პირველად მოვუსმინე დავით გამრეკელს. შემდგომ მისი მოსმენის საშუალება კინოფილმ „ჯურღაის ფარში“ და საკონცერტო შესრულების დროს მომეცა, რამაც ჩემი წარმოდგენა უფრო გააღრმავა და უმაღლესი კლასის მომღერლად წარმოჩინდა.**

დავით გამრეკელის ხმის უნიკალურობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ და მას უდიდეს მომავალს, ალბათ, მსოფლიო დონის მომღერლობას უწინასწარმეტყველებდნენ. ბუნებრივი მონაცემები ამის სრულ გარანტიას იძლეოდა. ეს ასე არ მოხდა, თუმცა იგი ქართული ვოკალური ხელოვნების სფეროში, ერთ-ერთი გამორჩეული და ორიგინალური მომღერლის სახელითაა ცნობილი და ასეთად დარჩება მომავალშიც.

იგი 1911 წელს ჭიათურაში დაიბადა. მასში, ადრეულ ასაკში გაიღვიძა სიმღერის სიყვარულმა, რადგან ოჯახში ყველა მღეროდა. იმ დროს ჭიათურაში არ გაიმართებოდა რაიმე ღონისძიება, გამრეკელების მუსიკალურ ოჯახს რომ არ მიეღო მონაწილეობა.

**საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1928 წელს, დავითი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე შედის. სტუდენტობის წლებში, როგორც საინტერესო მონაცემების მქონე, სანდრო კავსაძის გუნდშიც მღეროდა სოლისტად. დასაწყისში გამრეკელი ტენორის ხმაზე მღეროდა. მისი ბრწყინვალე ბარიტონი ცოტა მოგვიანებით ჩამოყალიბდა. უნივერსიტეტი 1933 წელს დაამთავრა. ვინაიდან შინაგანი მოწოდება მომღერლობა იყო, აგრონომიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იგი თბილისის კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე აბარებს და პროფესორ ევგენი ვრონსკის სტუდენტი ხდება. გამრეკელის მუსიკალურობა იმდენად სრულყოფილი იყო და ხმა ბუნებრივად ისე სწორად ჰქონდა დაყენებული, რომ კონსერვატორიაში ერთი წლის სწავლის შემდეგ, საოპერო სტუდიაში მღერის ფიგაროს პარტიას მოცარტის „ფიგაროს ქორწინებაში“, მურმანს ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“, ფიგაროს როსინის „სევილიელ დალაქში“, რიგოლეტოს ვერდის „რიგოლეტოს“ მეორე მოქმედებაში. თითქოს დაუჯერებელიც კია, რომ მომღერალი, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი ივარჯიშა სიმღერის დაუფლებაში, ასეთ სერიოზულ და რთულ საოპერო პარტიებს ასრულებდა, მაგრამ ფაქტია.**

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, 1935 წელს, დავითმა გადაწყვიტა მოსკოვში სტანისლავსკის ცნობილ სტუდიაში სწავლის გაგრძელება. მან ამისთვის საჭირო საბუთების მოგროვება დაიწყო. რეკომენდაციისათვის, იმ დროს თბილისის საოპერო თეატრის მთავარ დირიჟორს და სამხატვრო ხელმძღვანელს, გენიალურ ევგენი მიქელაძეს მიმართა. მიქელაძემ დავითის მიერ გამზადებული, მოსკოვში წასაღები საბუთები დახია და ეგრევე თეატრის დირექტორთან აკაკი ფაღავასთან შეიყვანა სიტყვებით: — თქვენ ხომ იცნობთ ამას? ხომ მოგისმენიათ მისი ხმა? ეს ახალგაზრდა სოლისტად უნდა ჩავრიცხოთ თეატრში! დიდი მაესტროს რეკომენდაცია საკმარისი გამოდგა და დავით გამრეკელი ოპერის თეატრის სოლისტი გახდა. სადებიუტოდ მომღერალს ელეცკის პარტია დაუნიშნეს ჩაიკოვსკის ოპერიდან „პიკის ქალი“. დებიუტი შთამბეჭდავი გამოდგა. ოპერის თეატრმა გამორჩეული ნიჭიერების მქონე მომღერალი შეიძინა. მას ჰქონდა თანდაყოლილი მუსიკალურობა და რიტმის მახვილი გრძნობა, ნაწარმოების სწრაფი შესწავლის და შესრულების იშვიათი უნარი. ამას ხელს უწყობდა დავითის (შინაურულად დათკას) გარეგნობა და სცენური მიმზიდველობა. ყველა ეს თვისება, მხოლოდ დიდი მომღერლების ხვედრს წარმოადგენდა.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ მომღერლისთვის აუცილებელია ბუნებისგან მინიჭებული იშვიათი განძი — სასიმღერო ხმა. მაგრამ მარტო ხმა, რაც არ უნდა ძლიერი და ლამაზი ტემბრის იყოს, საკმარისი როდია. ამ ბუნებრივ მონაცემებს თანამიმდევრული დამუშავება, ფაქიზი მოვლა და რაციონალური განვითარება-გამოყენება ესაჭიროება. ამ მიმართულებით გაწეული შრომა, დახარჯული დრო და ენერგია, უთუოდ ანაზღაურდება მიღწეული მაღალი შედეგით. ასეთ დროს რამდენადაც მიმზიდველია მომღერლის ხელოვნება, იმდენად მკაცრი და დაუნდობელია იგი იმათ მიმართ, ვინც ზერელედ, უპასუხისმგებლოდ ეკიდება მას, ვისაც მიაჩნია, რომ მხოლოდ ბუნებრივი მონაცემების ხარჯზე მიაღწევს საოცნებო მიზნებს.

გამრეკელის საოპერო პარტიების უმეტესი ნაწილის შესწავლასა და განხორციელებაში უდიდესი როლი ჩვენმა სასიქადულო მომღერალმა სანდრო ინაშვილმა შეასრულა. მისი დახმარებით და თანადგომით დავითმა არა ერთი პარტია შეასრულა თბილისის ოპერის სცენაზე.

**უკვე 1937 წელს მოსკოვში, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე იგი უდიდესი წარმატებით მღერის კიაზოს პარტიას ფალიაშვილის ოპერა „დაისში“, გოჩას ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში“ და ლევანის პარტიას დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეში“. იმ დროს ცნობილი რუსი მომღერალი ბარსოვა მასზე წერდა: „...ახალგაზრდა მომღერალს აქვს შესანიშნავი ტემბრის, ბრწყინვალე ჟღერადობისა და გამომსახველობის ხმა, რაც მეტყველებს მის გასაოცარ ბუნებრივ მონაცემებზე“. მოსკოვის საღამოს გაზეთში გრიგოლ კილაძის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნული იყო: „...დავით გამრეკელი ფლობს სილამაზითა და დიაპაზონით გამორჩეულ განსაკუთრებულ ხმას, რაც უფლებას გვაძლევს, იგი შევადაროთ მსოფლიოში სახელგანთქმულ, ბუნებრივი მუსიკალურობისა და არტისტული ტემპერამენტის მქონე მომღერლებს. სადეკადო სპექტაკლებმა მთელ მსოფლიოს აჩვენა ჩვენი ხალხის მძლავრი შემოქმედებითი შესაძლებლობები, შრომისუნარიანობა, მგზნებარე პატრიოტიზმი და, რაც მთავარია, შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივა“.**

სულ ცოტა ხანში ქართველი მომღერალი შთამბეჭდავი წარმატებით გამოდის მოსკოვში გამართულ ვოკალისტთა საკავშირო კონკურსზე, სადაც ლაურეატის წოდებას დაეუფლა. მისი ბარიტონი რბილი, ხავერდისებური ტემბრით და სიმღერის ლაღი სტილით, მსმენელზე განუმეორებელ შთაბეჭდილებას ქმნიდა. დავით გამრეკელი მოსკოველთა კერპად იქცა.

მომდევნო პერიოდში თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე მან არა ერთი წამყვანი პარტია შეასრულა ქართულ და რუსულ ოპერებში. თითქმის შეუსვენებლად გამოდიოდა ისეთ რთულ სპექტაკლებში, როგორიცაა: **„აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ტრავიატა“, „ევგენი ონეგინი“, „ჯავსნოსანი პოტიომკინი“, „სევილიელი დალაქი“, „ღალატი“** და სხვა.

**დიდი სამამულო ომის დროს გამრეკელი საკონცერტო ბრიგადებთან ერთად მართავდა საშეფო ღონისძიებებს სამხედრო ნაწილებში. მას თითქმის 2000 ასეთ კონცერტში აქვს მონაწილეობა მიღებული. 1943 წელს მას საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. იმავე წელს თბილისის კინოსტუდიამ გადაიღო მხატვრულ-მუსიკალური კინოსურათი „ჯურღაის ფარი“, სადაც დავითი ჯურღაის როლს ასრულებს. ამ სურათში ნათლად არის აღწერილი ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული, ჩვენი დიდი წინაპრების ბრძოლები და დიდებული გამარჯვებები. ამ როლისთვის დავით გამრეკელს სტალინური პრემია მიენიჭა.**

1944 წელს მოსკოვში მოეწყო ქართული ლიტერატურისა და მუსიკის საღამოები, ქართველი მომღერალი სადაც მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით წარდგა. პრესაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში რეცენზენტი გამრეკელს საქვეყნოდ აღიარებულ იტალიელ ბარიტონს მატია ბატისტინს ადარებდა.

**სულ მალე მომღერლის შემოქმედებით ცხოვრებაში ახალი ეტაპი დადგა — ის მოსკოვის დიდ თეატრში სოლისტად მიიწვიეს. ამ თეატრში მან რვა წელი (1944-დან 1952-მდე), დაჰყო. აქ მან უმაღლეს დონეზე შეასრულა ისეთი მთავარი პარტიები, როგორიცაა: ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ — ელეცკი, ონეგინი, ვერდის „ტრავიატასა“ და „ბალ მასკარადში“ — ჟერმონი, რენატო, ბიზეს „კარმენში“ — ესკამილიო, გუნოს „ფაუსტში“ — ვალენტინი, ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“ — მურმანი, ვერდის „რიგოლეტოში“ — რიგოლეტო, დელიბის „ლაკმეში“ — ფრედერიკო და უამრავი სხვა. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მომღერალმა ოცდაათამდე საოპერო პარტია შეასრულა. გრამფირფიტაზე ჩაწერა რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „სადკო“. დიდი თეატრის კოლექტივთან ერთად მონაწილეობა მიიღო პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში გამართულ გასტროლებში.**

მოსკოვში მოღვაწეობისას გამრეკელი ხშირად გამოდიოდა საპასუხისმგებლო კონცერტებზე: მთავრობასთან, დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრისას, ქალაქის სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებსა და საწარმო-დაწესებულებებში გამართულ საღამოებში. რასაკვირველია, ასეთ დროს მომღერალი უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს, რადგან საოპერო სცენაზე მას საგრძნობლად ეხმარება დეკორაცია, გრიმი, კოსტიუმი, პარტნიორების გარემოცვა, გუნდი და ორკესტრი. საკონცერტო შესრულების დროს მომღერალი ინდივიდუალურადაა დაკავშირებული მაყურებელთან და მათ წინაშე პასუხისმგებელი პირადად არის. ასეთი გამოსვლები საუკეთესო გამოცდაა მომღერლისთვის. კამერულ ნაწარმოებთა ჯეროვანი შესრულება ბევრ რამეს ასწავლის და სძენს მას, ისეთ აუცილებელ საკითხებზე ჩააფიქრებს, როგორიცაა მუსიკისა და სიტყვის ურთიერთკავშირი, გამახვილებული თვითკონტროლი შესრულების ყველა სტადიაში და სხვა. ამდენად საოპერო მომღერლის შიგადაშიგ გამოსვლა კამერული რეპერტუარით აუცილებელ პირობად მიმაჩნია. გამრეკელი ამას დიდი ინტერესით ახდენდა. ჩვენს გონებაში, თავისი სიდიადით და გამომხატველობით კვლავაც ცოცხლობს მის მიერ უმაღლეს დონეზე შესრულებული ქართველ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი საეტაპო ვოკალური ორატორიები და ჰიმნები. მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ: **„დავით გამრეკელის სასიმღერო ინდივიდუალობის თავისებურებები, მისი ხმის სულისმიერი თუ ფიზიკური პარამეტრები საერთაშორისო სტანდარტებს, ვოკალური ხელოვნების უმაღლეს კრიტერიუმებს შეესაბამებოდა. დროთა განმავლობაში დავით გამრეკელის ფენომენური ხმა და სასიმღერო ტალანტი თავადაც ეტალონად იქცა“.** ყოველივე ამის შემდეგ, დანანებით უნდა ითქვას,რომ თავისი ზღაპრული მონაცემებით მას თავისუფლად შეეძლო, მსოფლიოს უდიდეს მომღერალთა გვერდით მდგარიყო.

დავით გამრეკელს მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით. დიდი ქართველი მომღერალი 1977 წელს გარდაიცვალა 66 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**გელა ჟოჟიაშვილი,**

**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი**

## სამკაულებსა და ძვირფასეულობაზე

თუ სუყოველ ჩემს სამკაულს მოვიხსნი, რას დავემგვანები?

* * *

ძვირფასეულობაზე დიდად არა ვარ დამოკიდებული, როგორც რომ სახლზე. თუ წავედი იქიდან, სამუდამოდ წავალ. მაგრამ ეს პატარა მეჭედი ჩემი თილისმაა. ცხელ აგვისტოში დავიბადე, ჩემი თილისმაა ოქრო და ტოპაზი.

* * *

ქუჩაში მხოლოდ რიოში ძვირფასეულობა უნდა გეკეთოს. უტყუარს შინ იკეთებენ, რათა დროდადრო კმაყოფილება იგრძნონ.

* * *

მთელი ჩემი ავლადიდება მარგალიტითა და სამკაულებით გამოვიმუშავე. ნამდვილად მილიონერი ვიქნებოდი, ცოტა ხელმომჭირნე რომ ვყოფილიყავი.

* * *

ოქროს წყლის ტოპაზზე ულამაზესი არც არაფერია.

* * *

ავდექი და რიოში მარგალიტი შევუკვეთე, რათა ნამდვილი არ მეტარებინა. ბევრი მეუბნებოდა, უფრო ლამაზი ჩანხარო. მეც ჩემი ვუთხარი: სუყოველ ქალს უნდა შეეძლოს ამისთანის ქონა, რათა თავის განუმეორებლობას და მიმზიდველობას ხაზი გაუსვას-მეთქი. ვეძებე და მივაგენი ისეთ ადამიანთ, რომელთაც მსგავსი მარგალიტის ბლომად დამზადება დაიწყეს. ყოველთვის ვპოულობდი ისეთ ადამიანებს, როგორიც ამა თუ იმ დროს მჭირდებოდა.

* * *

იმდენი ფერის ძეწკვი, გულსაბნევი, საყურე და სპეკალი მაქვს დახუნძლული, რომ ძნელი დასაჯერებელია, როცა ვამტკიცებ ძვირფასეულობა არ მიყვარს-მეთქი.

* * *

ძვირფასეულობა მდიდრებისაა, მე არ მიყვარს.

* * *

სამკაული ბევრი უნდა გქონდეს, თუ უტყუარია, კუდაბზიკობასა და მდარე გემოვნებაზე მეტყველებს. მე რიოში მაქვს, ოღონდ ყველა ლამაზია. ჩემი აზრით, ნამდვილზე ბევრად ლამაზი.

* * *

სამკაული ყოველთვის თავის ნიშანს ასვამს ხანას. ძალიან ვისურვებდი, რომ კოკო შანელის ხანა დაუვიწყარი იყვეს შანელის ბიჟუტერიის წყალობით. რა ვქნა, ჩემდაუნებურად სუყოველ იმ ქალზე ვფიქრობ, ჩემთა სამკაულთა მეოხებით სავსებით უღირალი ავლადიდების მქონენი რომ არიან.

* * *

ერთხელ ჩემი ყურით გავიგონე მოზრდილი თერძი დამწყებ მკერავს რომ ეუბნებოდა: „სად გაგონილა ღილები უსაღილედო“. ეს საოცარი და კუბში ფორმულა შეიძლება რომ მოდელიერის, აგრეთვე კომპოზიტორისა და ფერმწერის დევიზი გახდეს.

* * *

მარგალიტი ყოველთვის მართალია.

* * *

სამკაული ჩუქურთმაა, მე ძალიან ლამაზი გამომდის. ზოგიერთი იმდენად ლამაზია, რომ თავადვე მიკვირს და გამკვირვებია. მდიდრული, სულაც არა ბიზანტიურის მსგავსი.

## ცხოვრებაზე, მეგობრობასა და გრძნობებზე

ცხოვრება სამოსელი არ არის, ვერც გადაიკეთებ და ვერც ხელახლა შეიკერავ და წარსულის გამო სინანული ამაოა, ვინაიდან სიბერე მერე და მერე უამრავი სინანულის ოდენობისა გამო კბილების ღრჭენად გადაიქცევა. ეს უნდა გამოტოვო, რაც იყო, ჩაიარა, მხოლოდ წინ უნდა იყურო და არავითარ შემთხვევაში უკან, იცხოვრე იმით, რაც ხვალ იქნება. ასაკი ჩავლილ დღეთა რაოდენობა არ არის, ეს სულის მდგომარეობაა. ვთქვათ, ოცდახუთი წლისა მოვკვდი, მაგრამ მომდევნო სამოცი წელიწადი სულ მუდამ ოცდაოთხი წლისა ვარ და შემდეგი დღე დაბადების დღე, არცვისთვის ცნობილი არ არის... ჩემთვისაც კი.

* * *

წარმატებისთვის არც თუ ისე ბევრი რამ არის საჭირო, მე შესაფერის დროს ჩამოვედი და ვიცნობდი საჭირო ადამიანებს... სუყოველივეს ბავშვური უდარდელობით ვიქმოდი.

* * *

ესეც გაბრიელია. დეიდაჩემი, გაბრიელ ბალზანი. უქმრო, უშვილო, დიდება უფალს.

* * *

შენი ბედ-იღბლის მეუფროსე ვერ გახდები, თუ არ მუშაობ.

* * *

რა მოსაწყენია, როცა ადამიანები ცდილობენ, რომ ჭკვიანები გამოჩნდნენ.

* * *

ომი სულ მუდამ იქნება, რადგან იმდენი წამალია მოგონილი, რომ ადამიანები მალე აღარ დაიხოცებიან.

* * *

სიახალგაზრდავე ძალიან ახალი რამ არის, ოცი წლის წინათ მასზე არ ლაპარაკობდნენ.

## „ქალი სუყოველი მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

**– ასე ამბობდა კოკო შანელი**

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

* * *

ერთადერთი რამ, რაც საგულისყუროა სიყვარულში, პრაქტიკული გამოცდილებაა. სამწუხაროა, რომ ამისთვის კაცია საჭირო.

* * *

თუ ადამიანს ფული უყვარს, მაშასადამე, ავად არის.

* * *

ყოვლის უფრო საშინელი ქორწინებაში, რამდენიც უნდა უტრიალო, თვითონ ქორწინებაა.

* * *

შეყვარებული ქალები ტუტუცები არიან, ერთგულ ციმფიებს ჰგვანან.

* * *

– უსამოსლოდ სუყველა ადამიანი ერთმანეთს ჰგავს.
– ეგ როგორ აღმოაჩინე?
– შუქი გამოვრთე.

* * *

მხოლოდ ჭეშმარიტებას არა აქვს საზღვარი.

* * *

ორის ერთად ცხოვრება სულ სხვა საქმეა, რა საშინელებაა მარტოობა.

* * *

დიდი ვნებების გადატანასაც სწავლა უნდა.

* * *

ეს პარიზია, აქ თითოეული თავისი მუჭლუგუნების წყალობით მიიწევს წინ. აქ გამოჩნდება, რაც სინამდვილეში ბრძანდები!

* * *

სუყოველი ადამიანის ცხოვრებაში ბედნიერება დიდი ჩანაფიქრის განხორციელებაშია!

* * *

ნებისმიერ უპირატესობას, როგორც წესი, გარკვეულ შეზღუდვამდე მივყავართ. ის გვაიძულებს და გვარჩევინებს როგორც რომ მეგობართ, ისე ნაცნობთ.

* * *

ცხოვრებაში არცრაა თითქოსდა უფრო ყურადღების მიმქცევი, ვიდრე ავხორცობაა, რის უნარიც ადამიანს აქვს, ვინაიდან ჩვენი საღი აზრი მასში არცრანაირად არ მონაწილეობს. ასე რომ, ავხორცობა არც ჩვენს რაიმე ღირსებაზეა დამოკიდებული და არც კიდევ ჩვენს რაიმე დამსახურებაზე.

* * *

სინათლეში არ ეგების ჩვენი მომწოდებლების მიღება.

* * *

სუყოველ უბედურებაში სიყვარული დაადანაშაულეთ.

* * *

სუყოველი პრინციპი ერთნაირია. პატივმოსილი სტატიკური და ჩინებული, მაგრამ ამ ყოვლის უკან არც არაფერია. მხოლოდ არაყი და სიცარიელეა.

* * *

სიჩუმე პროვინციის სისასტიკეა.

* * *

ვიმედოვნებ, არჩევნები გაგვის დე გოლსა და იმის ბანდას.

* * *

საჭირო, რომ ადამიანების თავს ყოველდღიურად რამე ამბავი ხდებოდეს. ჩვენ ხომ გამოგლოვილი ხალხი ვართ, ასე არ არის? სულ მივრბივართ და ვჩქარობთ... რატომ ეგუებიან ადამიანები ყოველსავე ამას? პასუხი მარტივია – იმიტომ, რომ მოწყენილობას გრძნობენ.

* * *

იმის მაგივრად, რომ იტანჯო შენი ნაკლოვანებებისა გამო, საჭირო და აუცილებელია, რომ ეშმაკურად ეთამაშო იმ ნაკლოვანებებს: ვინც შეძლებს იმათ გამოყენებას, მაშასადამე, ცხოვრებაში ყოველსავე მიაღწევს.

* * *

ისარგებლეთ თქვენი სამშობლოს სახელდიდებით.

* * *

ყოვლის უფრო თამამი საქმეა შენებურად ხმამაღლა ფიქრი.

* * *

აზრი ყოვლის უფრო კეთილშობილური სწორი გზაა გულისკენ მიმავალი.

* * *

რაც რამ გინდა, იგივ სხვაობის გრძნობაა.

* * *

თითოეული ცოტა ფეტიშისტი უნდა იყვეს.

* * *

დიდ სიყვარულსაც მოთმინება უნდა.

* * *

გადასინჯე საქმეთა მიმართ დამოკიდებულება, რათა მშვიდად აკეთო.

* * *

გენიოსობა, როგორც უფულობა, სხვადასხვანაირია...

* * *

სუყოველი ადამიანის ცხოვრება გამოცანაა.

* * *

ამაყნი მარადიული ტანჯვისთვის იწირავენ თავს.

* * *

კოლეტს სიყვარულს ორი შემწვარი სოსისი ერჩივნა.

* * *

ახლა მხოლოდ ერთი დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობაღა შემომრჩა.

* * *

ნამდვილი წარმატება ზოგისთვის დიდ კატასტროფად იქცევა ხოლმე.

* * *

კოკო შანელი იმ მარგალიტის მძივის თაობაზე ჰერცოგ ვესტმინსტერელს ეუბნება:

...მე ყოვლის უფრო აუცილებელს ვიტოვებ, ფუფუნებას უკან გიბრუნებ (საჩუქრისგან თვითონ მხოლოდ მკედს იტოვებს):

* * *

თუ ჩანაფიქრი რამ გაქვს, ცხოვრების მერმეც შეიძლება იმისი განხორციელება, რათა უკვე სიკვდილის შემდეგ შეასხა ხორცი.

**(გაგრძელება მორიგ ნომერში)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-44, 46**

# ვინ ვის ეხუჭება და რატომ?!

## იდლიბში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით

**სირიის პროვინცია იდლიბში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, ვინაიდან მასში მონაწილე მხარეებთან, სირიათურქეთთან ერთად, რუსეთის მოქმედებაც იკვეთებოდა. განსაკუთრებული გულისყური შეინიშნებოდა აშშ-ის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში, მის მოკავშირე ქვეყნებში, რაც გასაკვირი არ არის, ვინაიდან ასტანისა და სოჭის მოლაპარაკებათა შემდეგ, პარტნიორებად გამოცხადებული რუსეთ-თურქეთი, მიკერძოებულ თუ მიუკერძოებელ მიზეზთა გამო, სამხედრო თვალსაზრისით, ერთმანეთს შეიძლება დაპირისპირებოდნენ.**

დასავლელთა ცრუ შეშფოთების მიღმა, მათი ნამდვილი სურვილი შეიმჩნეოდა — ომი რუსეთ-თურქეთს შორის. კოლექტიური დასავლეთის დამოკიდებულება რუსეთ-თურქეთის მიმართ გამოკვეთილია და ნეგატიურობის ზღვარს კარგა ხანია ვერ შორდება. დასავლეთისთვის მოსკოვ-ანკარის პოლიტიკის აღქმა სიძნელეებთან არის ასოცირებული და შორს არის იმ დემოკრატიისგან, დასავლეთში რომ ზეობს.

**დასავლეთს არც ერთი მოსწონს და არც მეორე, მით უმეტეს, მათი ლიდერები. სწორედ პოლიტიკური ლიდერების მოუწონლობა იწვევს მათში ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური კურსისადმი, უიმედო, ხშირ შემთხვევაში უარყოფით დამოკიდებულებას. პუტინის რუსეთი ისეთივე გამაღიზიანებელია დასავლეთისთვის, როგორც ერდოღანის თურქეთი. პუტინის რუსეთი — სუვერენული, დამოუკიდებელი, განსხვავებული პოლიტიკის გამო, ხოლო ერდოღანის თურქეთი — სიჯიუტის, არათანმიმდევრული, ხშირ შემთხვევაში ნაკლებად მორჩილი პოლიტიკისთვის.**

დასავლეთისთვის, ერდოღანის თურქეთი მოკავშირედ მოიაზრება — ნატოს წევრად, ევროკავშირის ზღურბლზე მდგომ ქვეყნად; პუტინის რუსეთი ისეთ პარტნიორად, უხვ ეკონომიკურ და სავაჭრო სანქციებს რომ არ იშურებს მისთვის, აშკარა მეტოქედ, სერიოზულ გამოწვევად, განსაკუთრებით სამხედრო თვალსაზრისით. სხვა ნეგატიური ფაქტორებიც უხვად არის და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. აი, რაც შეეხება დადებითს, სანთლით საძებარია. ასეთ დროს დასავლეთს გულის კუნჭულში როგორ არ ექნებოდა რუსეთ-თურქეთის ერთმანეთთან დაჯახების სურვილი?!

ამ სურვილს, იდლიბის ბოლო მოვლენებამდე, რუსეთ-თურქეთის დაახლოება აღვივებდა, განსაკუთრებით სამხედრო თანამშრომლობის თვალსაზრისით. დასავლეთის თვალწინ შეიკრა რუსეთის, თურქეთის, ირანის სამთა კავშირი — დასავლეთისთვის აშკარად მიუღებელი, ვინაიდან ამ სამის მიზანი მარტო სირიით არ შემოიფარგლება. ის მთელს ახლო აღმოსავლეთს ეხება — დასავლეთისთვის, კერძოდ, აშშ-სთვის მუდმივ მიზანთა ზონას.

აშშ-ის პრეზიდენტის ტრამპის განცხადებით, მისმა წინამორბედმა ტრილიონი დოლარი დაახარჯა რეგიონს, ამერიკული პოზიციების გამყარებისთვის, სირიის პრეზიდენტის, ურჩი ბაშარ ასადის დამხობისთვის, სირიის მოსარჯულებლად ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნისთვის; ამ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების იარაღით, ტყვიაწამლით უზრუნველყოფისთვის, შემდეგ აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ყასიდი ომის საწარმოებლად კოალიციის ჩამოყალიბებისთვის.

სირიის კონფლიქტში, სირიის ხელისუფლების თხოვნით, პუტინის რუსეთის ჩართვამ გადაარჩინა ასადის მთავრობა დამხობისგან — სირიის ტერორისტულ სახელმწიფოდ გადაქცევისგან. და, რაც მთავარია, წყალი შეუყენა დასავლეთის, კერძოდ აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკურ პოზიციას ახლო აღმოსავლეთში.

ახლო აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციების შერყევის საწინააღმდეგოდ დასავლეთმა, კერძოდ, აშშ-მა, მათრახის და თაფლაკვერის ნაცადი ხერხი აამოქმედა, სამთა კავშირის ყველაზე სუსტ რგოლზე, თურქეთზე — ეკონომიკური სანქციების დაწესების, სამხედრო თანამშრომლობის შეჩერების მუქარით.

**მიუხედავად დასავლური საგანგაშო სიგნალისა, ერდოღანი აგრძელებდა რუსეთ-ირანთან პოლიტიკურ „ძმობას“, ვიდრე მათი მიზნები არ გადაიკვეთა იდლიბში, სადაც თავი მოიყარეს სირიის დანარჩენი ტერიტორიებიდან განდევნილმა ტერორისტებმა, როგორც შედარებით ზომიერებმა, სირიის განმათავისუფლებელი არმიის სახით, ისე რადიკალმა ტერორისტებმა „ჯებხატ ან-ნუსრას“, „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ-ქაიდას“ სახით.**

სარწმუნო წყაროების მიხედვით, იდლიბის პროვინციაში 20000-ზე მეტი ტერორისტია თავმოყრილი. იქვე იმყოფება ქურთი მეომრების დაჯგუფებები, რომელთაც ოფიციალური ანკარა ტერორისტებად აღიქვამს.

სამთა შეთანხმების შედეგად, თურქეთის ჯარმა გადალახა სირიის საზღვარი და დაიკავა იდლიბის პროვინციის გარკვეული ნაწილი იმ პირობით, რომ ერთმანეთისგან დაშორიშორებდა ზომიერ და რადიკალ ტერორისტებს, მოახდენდა ამ უკანასკნელთაგან იდლიბის გაწმენდას და წესრიგს დაამყარებდა, რის შემდეგაც სირიის ტეროტორიას დატოვებდა.

სამწუხაროდ, პირობა არ შესრულდა. ტერორისტებმა გააძლიერეს სირიის ქალაქებზე თავდასხმა — არტილერიისა და უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით, იერიში მიიტანეს რუსეთის სამხედრო ბაზა ხმეიმიმზე, დაბომბეს დამასკოს შემოგარენი.

**სირიის დაზვერვის სამსახურის ინფორმაციით, იდლიბელ ტერორისტებს იარაღით ეხმარებოდა თურქეთის ჯარი და არა მარტო. ტერორისტებთან ერთად თურქი ჯარისკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას სირიის არმიის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებში. ფაქტიც არის — სირიის ჯარის და ავიაციის მიერ განხორციელებული კონტრშეტევის დროს დაღუპული 30-ზე მეტი თურქი სამხედრო მოსამსახურე.**

**ოფიციალური ანკარის პასუხი იყო მკაცრი და მუქარით აღსავსე. მთელი სიგრძე-სიგანით ამოქმედდა იდლიბში მყოფი თურქეთის ჯარი, რასაც სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა სირიის მხარეს, რომელსაც ზურგს უმაგრებს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები.**

ვითარება დაიძაბა და რუსეთ-თურქეთის სამხედრო დაპირისპირების ვარაუდის რეალობად გადაქცევის შესაძლებლობაც გაჩნდა. თურქეთის პრეზიდენტმა დახმარებისთვის ნატოს მიმართა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, ნატომ მხოლოდ ვერბალური „დახმარებით“ დაამშვიდა. რაც შეეხება სამხედრო დახმარებას, თურქეთმა მტკიცე უარი მიიღო, ვინაიდან მას თავს არვინ დასხმია, თავდასხმას ადგილი, სირიის ტერიტორიაზე ჰქონდა, სადაც თურქეთი არვის მიუწვევია. ანკარას ისიც შეახსენეს, რომ ნატოსთან შეუთანხმებლად შეიყვანა მან ჯარი სირიის პროვინცია იდლიბში.

**ნატომ უკვე მეორედ არ აამოქმედა წესდების მე-5 მუხლი — ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის. პირველად მაშინ, როდესაც თურქეთმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო და რუსეთის მოსალოდნელი სამხედრო პასუხით შეშინებულმა უმალ ნატოს მიაშურა დახმარებისთვის. მაშინ თურქეთს ურჩიეს თვით მოეგვარებინა პრობლემა რუსეთთან.**

რას ნიშნავს ნატოს შტაბბინის ასეთი მოქმედება თუ არა იმას, რომ წესდების მე-5 მუხლის ამოქმედებისთვის საკმარისი არ არის ემოციური ფორიაქი; რომ წესდების უსწრაფესი ამოქმედება არ ხდება; რომ წესდების ამ მუხლის ამოქმედება ნატოს წევრი დიდი სახელმწიფოების საგულისხმო განხილვის შემდეგ შეიძლება შევიდეს ძალაში ან არ შევიდეს.

ასე რომ, ქართულმა პოლიტიკამ, ნატოსკენ კისრისტეხით გაქცეულმა, უნდა გაითვალისწინოს თურქეთის მაგალითი, სხვა მაგალითებთან ერთად, და ზეცაში ილუზიებით მოფარფატემ, მიწაზე დაშვება დაიწყოს.

წონასწორობადაკარგულმა ერდოღანმა ვაშინგტონსაც მიმართა, რომელმაც დაახლოებით ისეთივე პასუხი გასცა, როგორც ბრიუსელმა, თუმცა სამხედრო დახმარება აღუთქვა. ერდოღანისთვის უშედეგო გამოდგა ევროპელ ლიდერებთან სატელეფონო საუბრებიც. არც ერთმა არ ისურვა ფათერაკიანი, ჯიუტი ნატოელი პარტნიორის გამო რუსეთთან დატაკება.

**ნატოში თურქეთის ჯარი რაოდენობით და შეიარაღებით მეორეა აშშ-ის შემდეგ, რაც თავისთავად მის მიმართ სხვა დამოკიდებულებას უნდა იწვევდეს ნატოელი კოლეგების მხრიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, თუ პრობლემა რუსეთს უკავშირდება, ანუ თანამედროვე, დახვეწილი შეიარაღების მქონე ბირთვულ ქვეყანას, საპასუხო სამხედრო მოქმედების ნაცვლად, ზეპირი განცხადებები გამოიყენება — „შეშფოთების“ მსგავსი, რაც ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს საქართველოს პოლიტიკამ.**

დასავლეთის კარზე უშედეგო ბრახუნის შემდეგ ერდოღანმა შანტაჟს მიმართა — თურქეთში მყოფ ლტოლვილებს გზა გაუხსნა ევროპისკენ. თურქეთში 4 მილიონამდე სირიელმა და სხვა ქვეყნების ლტოლვილებმა მოიყარეს თავი, რომელთა შენახვა მძიმედ აწვება თურქეთის ეკონომიკას. ევროკავშირმა, რომელიც წლებია აზია-აფრიკის მიგრანტთა შემოსევის მსხვერპლია, 6 მილიარდი ევრო გამოუყო თურქეთს, იქ მყოფი ლტოლვილების შესაკავებლად და შესანახად. თურქეთმა გამოყოფილი 6 მილიარდიდან, მხოლოდ სამი მიიღო, რამაც სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია მასში.

ასე და ამრიგად, ახალი პრობლემები გაჩნდა თურქეთ-ევროკავშირს შორის. ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მეთაურებმა სასტიკად დაგმეს ერდოღანის ქცევა და მოუწოდეს მას, შეწყვიტოს შანტაჟი.

იდლიბის ისტორიიდან გამომდინარე, ერდოღანის პოლიტიკამ თვით მას მიაყენა გვარიანი დარტყმა, თან ისეთი, რუსეთის პრეზიდენტი პუტინი რომ თეთრ მტრედად გამოაჩინა ევროატლანტიკოსთა თვალში. ერთობ შერყეული პოზიციით წარდგა ის მოსკოვის მოლაპარაკებაზე, რომლის დროსაც კომპრომისების გარდა, სხვა გზა როგორც რუსეთის, ისე თურქეთისთვის აღარ იყო — ან ომი, რომელიც უდავოდ გადაიზრდებოდა რეგიონულ ომში ან მშვიდობა.

ცხადია, ერდოღანი წამითაც არ იფიქრებდა ბირთვულ სახელმწიფოსთან შერკინებას, რომელსაც უხვად აქვს თანამედროვე არაბირთვული იარაღიც. გარდა ამისა, რუსეთის მხარეს დაიჭერდა სამეულის ისეთი წევრი, როგორიც ირანია — ქვეყანა, რომლის მიზანი და გავლენა სირიასა და ერაყში, ისე, როგორც ახლო აღმოსავლეთში, საკმაოდ დიდია. ირანის ოფიცრები და იორდანიაში ბაზირებული ორგანიზაცია „ჰესბოლა“, რომელსაც დიდ დახმარებას უწევს ირანი, რახანია იბრძვიან სირიაში, ბაშარ ასადის ჯარის მხარეს.

**„ნუ შეეცდებით მოთმინებიდან ჩვენს გამოყვანას. თუ ამას ექნა ადგილი, პასუხი არ დააყოვნებს. ირანი აგრძელებს სირიელი ხალხის და არმიის მხარდაჭერას, ვიდრე სირიის მიწა არ გათავისუფლდება ტერორისტებისგან“, — განაცხადა ოფიციალურმა თეირანმა.**

**იდლიბში განვითარებულმა მოვლენებმა ფარდა ახადა საქართველოს დაუბალანსებელ პოლიტიკას. პრესის და ოპოზიციის, ისე როგორც ხელისუფალთა განცხადებების მიხედვით — თურქეთი ჩვენი „ძმა“ და „მეგობარი“ ქვეყანაა, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს. განა ამას არ ჩაგვჩიჩინებდა საკაშვილი და მისი თურქოლოგი დედა? იგივე სიტყვები გაიმეორა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხვთისიაშვილმა თურქ დიპლომატთან შეხვედრისას. მან დაგმო ძალადობრივი იერიში თურქეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ თავდასხმები ასადის რეჟიმისა და მისი მოკავშირეების მხრიდან უნდა შეწყდეს.**

თურქეთის პოლიტიკა სირიასთან მიმართებაში სულაც არ შემოიფარგლება ტერორისტებისგან იდლიბის გაწმენდით. მას შორსმიმავალი მიზნები აქვს — იდლიბის თურქეთთან მიერთება. მსოფლიოს კარგად ახსოვს თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსში დროებითი შეჭრა, თურქი მოსახლეობის დაცვის საბაბით. ეს დროებითობა ათეული წლებია, გრძელდება.

**ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეს, დღევანდელ თურქეთს სულაც არ განელებია დიდი ოსმალეთის აღდგენის სურვილი, რის შესახებაც მუდმივად გვამცნობენ გადამდგარი თუ მოქმედ პოლიტიკაში მყოფი პოლიტიკოსთა ავტორობით გამოცემული წიგნები. ერთ დროს პრეზიდენტ ერდოღანის დამრიგებელი ფეთჰულა გიულენი, რომელსაც დღეს თურქეთის პრეზიდენტი მტრად მიიჩნევს, თავის ნაშრომებში მიგვანიშნებს იარაღის გამოუყენებლად ეკონომიკურ-სავაჭრო გავლენით, ახლო თუ შორეული ქვეყნების თურქეთში შებრუნების თაობაზე.**

ასე რომ, ზომაზე მეტი ჩახუტება, მითუმეტეს პატარა და სუსტი ქვეყნისთვის, სულის შეხუთვით შეიძლება დასრულდეს.

**ჰამლეტ ჟიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ

**ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲨᲘ** საგანგებო მდგომარეობა პირველ მაისამდე იმოქმედებს, ლატვიაში კი — 14 აპრილამდე. მთავრობების გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა, აღნიშნული პერიოდი გახანგრძლივდეს.

ამასთან, ლატვიაში ყველა სასწავლო დაწესებულებაში კარანტინი გამოცხადა. მოქალაქეები, რომლებიც იმ სახელმწიფოებიდან ბრუნდებიან, სადაც კორონავირუსი არის გავრცელებული, ორკვირიან კარანტინს გაივლიან.

ესტონეთში, აეროპორტებსა და პორტებში სანიტარიული კონტროლი დაწესდა. პირველ მაისამდე დაიხურა მუზეუმები და კინოთეატრები, აიკრძალა კონცერტები, კონფერენციები და სპორტული ღონისძიებები. საავადმყოფოებსა და ციხეებში პაციენტებისა და პატიმრების მონახულება შეიზღუდა. ესტონეთში კორონავირუსის 27 შემთხვევა არის დაფიქსირებული, ლატვიაში კი — 16.

## ᲕᲘᲠᲣᲡᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ...

**კანადის** პრემიერ-მინისტრის ჯასტინ ტრუდოს მეუღლეს კორონავირუსი დაუდგინდა. სოფი ტრუდოს ვირუსი მსუბუქ ფორმებში აქვს.

როგორც ცნობილია, კანადის პრემიერ-მინისტრი და მისი მეუღლე თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ. ეს გადაწყვეტილება მათ მას შემდეგ მიიღეს, რაც სოფი ტრუდოს ვირუსის მსუბუქი სიმპტომები გამოუვლინდა.

თავად კანადის პრემიერ-მინისტრს კი კორონავირუსის სიმპტომები არ აქვს, თუმცა 14 დღე ის თვითიზოლაციაში დარჩება. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, კანადაში ვირუსის 109 შემთხვევა ფიქსირდება.

## ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲔᲜ

**ᲑᲝᲚᲝ** 24 საათში სამხრეთ კორეაში ახალი ტიპის კორონავირუსით 110 ადამიანი დაინფიცირდა, მაშინ, როდესაც საავადმყოფოებიდან 114 განკურნებული პაციენტი გაწერეს.

სამხრეთ კორეაში ვირუსის პირველი შემთხვევა 20 იანვარს დაფიქსირდა. მას შემდეგ ეს პირველი დღეა, როდესაც ახალი ინფიცირებულების რაოდენობას განკურნებულების რიცხვმა გადააჭარბა.

ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, სამხრეთ კორეაში ახალი ტიპის კორონავირუსის 7 797 დადასტურებული შემთხვევაა. დაღუპულია 66 ადამიანი.

ჩინეთში ბოლო 24 საათში კორონავირუსით დაინფიცირების მხოლოდ რვა ახალი შემთხვევა დადასტურდა.

მათგან ვირუსის ეპიცენტრ უხანში COVID-19 ის მხოლოდ ხუთი ახალი შემთხვევაა გამოვლენილი. უკვე რამდენიმე დღეა, რაც უხანში ახალი ტიპის კორონავირუსით ინფიცირების ახალი შემთხვევები საგრძნობლად არის შემცირებული. ერთ დღის წინანდელი მაჩვენებელი მხოლოდ 10 ადამიანს შეადგენდა.

მატულობს გამოჯანმრთელებულების რაოდენობაც. მათი საერთო რიცხვი უკვე 61 ათასს აჭარბებს. ცოტა ხნის წინ ჩინეთის ეროვნული ჯანდაცვის კომიტეტში განაცხადეს, რომ ქვეყანამ კორონავირუსის ეპიდემიის პიკი გადაიარა.

**საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა შორის რაოდენობრივად ქართველების შემდეგ მეორე ადგილს აზერბაიჯანელები იკავებენ. ისინი კომპაქტურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სახლობენ, მათ შორის — გარდაბნის მუნიციპალიტეტის 14 სოფელში. შეიცვალა თუ არა მათი ყოფა უკანასკნელი წლების განმავლობაში, როგორია ინტეგრაციის ხარისხი, განწყობა, რა სახის გამოწვევებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება? — ამ და სხვა თემებზე „აქცენტი“ კვლევის „უცნობი გარეუბნები: გარდაბნის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლებების“ ავტორს, „რონდელის ფონდის“ მკვლევარ ალექსანდრე კვახაძეს ესაუბრა.**

# ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ

**— ᲐᲚᲔᲥᲡᲘ, თქვენს კვლევაში იყო მიმართულებები, რომელიც არა მხოლოდ აზერბაიჯანელებით დასახლებული მუნიციპალიტეტების, არამედ სხვა რეგიონების პრობლემაცაა, მათ შორის — ეკონომიკა. ამიტომ ყურადღება გავამახვილოთ იმ პრობლემურ თემებზე, რომლებიც ვფიქრობ, მკითხველებსაც დააინტერესებთ. დავიწყოთ ეთნიკური საკითხებით: კვლევაში ერთი მხრივ, აღნიშნავთ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში ეთნიკური დაპირისპირების რისკი დაბალია, თუმცა მეორე მხრივ, ამბობთ, რომ აზერბაიჯანელებს ქართველებთან მინიმალური კონტაქტი აქვთ. თქვენი დაკვირვებით, ამ დაბალ რისკს რა განაპირობებს — კონტაქტის უქონლობა, ცნობიერების ამაღლება თუ?**

— ერთი შეხედვით, თითქოს ურთიერთგამომრიცხავი რამაა აღნიშნული, თუმცა რეალურად ასე არ არის: გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის სერიოზული შეტაკება არასდროს მომხდარა. 1980-იანი წლების ბოლოს ადგილობრივ აზერბაიჯანელებსა და სვან ეკომიგრანტებს შორის საძოვრებთან დაკავშირებული ინციდენტი იყო, თუმცა ამოიწურა. მეორე მხრივ, ქართულ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას ერთმანეთთან მინიმალური ინტერაქცია აქვთ. შეიძლება, ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული მოსახლეობა პარალელური ცხოვრებით ცხოვრობს. ეს ძირითადად ენობრივი ბარიერით და ცხოვრების წესით (რაც ისლამს მაინცდამაინც არ უკავშირდება) არის განპირობებული. მაგალითად ავიღოთ სოფლები მუღანლო და სართიჭალა (ერთი სასოფლო საკრებულო აქვთ), მინიმუმ, 300 წელია, ერთად არსებობენ, თუმცა შერეული ქორწინებები თითზე ჩამოსათვლელია. გაუცხოება და მინიმალური კონტაქტი თვალსაჩინოა.

**— კონტაქტს შეგნებულადაც ხომ არ არიდებენ თავს? მაგალითად, მქონდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანელები ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით მაინცდამაინც არ სტუმრობენ ქართველების კაფე-რესტორნებს... ეს რეალობაა?**

— შესაძლოა, რომელიმე მათგანს შიში აქვს, რომ რესტორანში ღორის ხორცია და ამის გამო არიდებს თავს. რაც შეეხება აზერბაიჯანელების „ჩაიხანებს“, ეს არა მხოლოდ კვების ობიექტი, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია. ვინაიდან ქართველებს ენობრივი ბარიერი აქვთ, სასაუბროდ „ჩაიხანაში“ შესვლა აზრს კარგავს, ქალის შესვლა კი კარგ ტონად არ ითვლება. ამიტომ არსებობს ადგილები, სადაც აზერბაიჯანელები სჭარბობენ და ადგილები, სადაც — ქართველები.

**— კვლევის პროცესში ვერ ნახეთ სოფელი, სადაც ინტერაქცია დამაკმაყოფილებელია?**

— მუღანლოსა და სართიჭალას ერთად არსებობის ყველაზე დიდი ისტორია აქვთ, თუმცა გაუცხოება, როგორც უკვე ვთქვი, იქაც კი მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები დადიან ქართულ სკოლებში და შესაძლოა, თანაკლასელები ქართველები ჰყავდეთ. რომ ვეკითხები, „სკოლაში ჩხუბის დროს ერთმანეთს კლასი კლასზე უპირისპირდებით, თუ ქართველები და აზერბაიჯანელები?“, სამწუხაროდ, მიპასუხებენ, „ქართველები და აზერბაიჯანელებიო“. ბუნებრივია, დაპირისპირება ყოფით ნიადაგზე იწყება, თუმცა შემდეგ ეთნიკურში გადაიზრდება ხოლმე. იმდენად დიდია გაუცხოება, რომ სოფელ მუღანლოს (ეკუთვნის სართიჭალის სოფლის საკრებულოს) ცალკე სასოფლო საკრებულოს შექმნაზე დაიწყო საუბარი. მუღანლოს მკვიდრთა შეფასებით, საბიუჯეტო სახსრები ძირითადად სართიჭალას — ქართველებით დასახლებულ სოფელს ხმარდება და არა ორივეს ერთად. ხსენებულ ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სართიჭალელები, თვლიან რა, რომ მუღანლო სართიჭალის ისტორიული უბანია. ურთიერთობების თვალსაზრისით, უკეთესი ვითარებაა უშუალოდ გარდაბნის რაიონში: გარდაბანი მაინც ურბანული ზონაა და ყოველთვის მულტიკულტურული იყო. გარდა ამისა, არსებობს სოფელი ნაგები, სადაც მოსახლეობის 50% აზერბაიჯანულია, ხოლო 50% — ქართველი (სვანი). ამ სოფელშიც საკმაოდ მაღალია ინტერაქცია: აზერბაიჯანელი ბავშვები ქართულად სვანური აქცენტითაც კი საუბრობენ.



**— აქვთ განცდა, რომ საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები არიან? ასევე მაინტერესებს ადგილობრივებზე ოფიციალური ბაქოს გავლენის ხარისხი. ქვემო ქართლი ხომ აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონიცაა...**

— აცნობიერებენ, რომ საქართველოს მოქალაქეები არიან და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება აქვთ, თუმცა აქვთ წყენა და წუხილი, რომ ქართველები მეტად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგალითად, სოფელ ვახტანგისში (მოსახლეობის 95% აზერბაიჯანულია) მეჩეთი აშენდა, თუმცა მას მეჩეთის სტატუსი ამ დრომდე არ აქვს მინიჭებული, ხოლო ამავე სოფელში აშენებულ ეკლესია-მონასტერს ეს პრობლემა არ შექმნია. იგივე გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში აზერბაიჯანელებს მხოლოდ ერთი კუთხე დაუთმეს და ა.შ. სწორედ მსგავს საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას.

რაც შეეხება ბაქოს, სენტიმენტები მაინცდამაინც არ იგრძნობა: მათთვის აზერბაიჯანში არსებული კორუფცია და პოლიტიკური რეჟიმი არაა მისაღები. ამბობენ, რომ საქართველოში მეტი თავისუფლებაა, ვიდრე იქ. ამავდროულად, მზარდია თურქეთის პოლიტიკურ-კულტურული გავლენა და ამაში დიდ როლს თურქული ტელევიზია ასრულებს: ბავშვებს არქმევენ თურქულ სახელებს (აქამდე მსგავსი ტენდენცია არ გვხვდებოდა); ყველა ოჯახში თურქული არხია ჩართული, ძირითადად — გასართობი (პოლიტიკურ გადაცემებს ნაკლებად უყურებენ). სამწუხაროდ, ქართული მასმედია იქ თურქულს კონკურენციას ვერ უწევს. ის, რომ სახელმწიფო მისსავე რეგიონში მოქალაქეებს მისთვის გასაგებ ენაზე ეფექტურად ვერ აწვდის ინფორმაციას, უკვე პრობლემაა. მაგალითად მოვიყვან მარნეულის რადიოს, რომელიც აზერბაიჯანულენოვანია და მარნეულის მოსახლეობაზეა ორიენტირებული. მოქალაქეები ავტომობილებით მგზავრობისას მას უსმენენ, რადგან იქ საკუთარ თავს ხედავენ. მართალია, საქართველოს პირველ არხზე აზერბაიჯანულ ენაზე კვირაში რამდენჯერმე გადის გადაცემა, მაგრამ მას არავინ უყურებს. რატომ? — პასუხი მარტივია: მოქალაქეები იქ საკუთარ თავს ვერ ხედავენ.

თურქეთს ლირის გაუფასურებამდე ეკონომიკური გავლენაც ჰქონდა: მუშახელის გადინება მაღალი იყო, თუმცა ამჟამად მიმართულება ძირითადად პოლონეთისა და გერმანიისკენ შეიცვალა (გერმანიაში თურქული დიასპორის დახმარებით აკეთებენ სამუშაო ვიზებს).

**— კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხები გამოკვეთეთ. მაშ, რა გაძლევთ იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ეთნიკური დაპირისპირების რისკი დაბალია? უბრალოდ ისტორია თუ სადღეისოდ არსებული რეალობა?**

— ყველაფერი ერთად. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა ჩამოშლილი იყო, სპეცსამსახურების მცდელობის მიუხედავად, ეთნიკური შეტაკება არ მომხდარა. კვლევის პროცესში საინტერესო დეტალებსაც მივაგენი: 90-იან წლებში აზერბაიჯანულ სოფლებში უცხო პირები დადიოდნენ და მოსახლეობას ცრუ ინფორმაციას აწვდიდნენ სვანების მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ანალოგიურად ხდებოდა ცრუ ინფორმაციის მიწოდება სვანებისთვის აზერბაიჯანელების თაობაზე. ბუნებრივია, მიზანი შუღლის გაღვივება იყო, თუმცა, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. სწორედ ბევრი მსგავსი მაგალითი მაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ კონფლიქტის პოტენციალი დაბალია.

**— ვისაუბრეთ თურქეთის და ბაქოს გავლენაზე, მაგრამ ირანის კუთხით როგორია მდგომარეობა? ამ გავლენების არსებობის შესახებ პერიოდულად ისმის საუბარი. ვიცით, რომ ადგილობრივების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი შიიტია...**

— საქართველოში შიიტების პოლიტიკური ცენტრი მარნეულია და გავლენაც მას უფრო ეხება.

ᲘᲮ. 11 ᲒᲕ.

◎ კარატე

# „ვერცხლიც“, „ბრინჯაოც“...

**25-29 მარტს ბაქო კარატისტთა ევროპის სალიცენზიო ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც ტოკიოს ოლიმპიადაზე მოხვედრის მსურველები ესოდენ ძვირფას ქულებს გაითამაშებენ.**

მომავალი კონტინენტური ფორუმის წინ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა აზერბაიჯანის დედაქალაქში გამართული ყოველწლიური ღია საერთაშორისო ჩემპიონატი „ბაქო ოუფენ“, სადაც 15-მდე ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი შეიკრიბა.

იქაური ფედერაციის ორგანიზებით მოწყობილ პრესტიჟულ ტურნირში წარმატებით იასპარეზა საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროსმა ინსტრუქტორმა **მზეჭაბუკ მახარაძემ,** რომელიც სამშობლოში ორი მედლით დაბრუნდა: კუმიტეს აბსოლუტური კატეგორია — **„ვერცხლი“,** ინდივიდუალური კატა — **„ბრინჯაო“**.

ასე რომ, კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, კარატისტთა სეზონი გრძელდება და იაპონიაში გამგზავრებამდე ამ სახეობის წარმომადგენლები კიდევ რამდენიმე სალიცენზიო ტურნირზე შეიკრიბებიან, მათ შორის ივნისის დასაწყისში — პარიზში.

**კობა კობახიძე**

◎ კორონავირუსის გარშემო

# ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია

**კორონავირუსი** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. შედეგად, COVID-19-მა სპორტული სამყაროც შეაფერხა და სხვადასხვა ტურნირები გაურკვეველი ვადით იდება.

**უკვე გახშირდა კორონავირუსით დაინფიცირების შემთხვევებიც სპორტსმენებში. საგანგებო მდგომარეობის გამო წარმოგიდგენთ კორონავირუსთან დაკავშირებულ ინფორმაციებს ერთად აკინძულს, განახლებად რეჟიმში.**

**ინგლისი** — ლონდონის „ჩელსიმ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ კალუმ ჰადსონ-ოდოის COVID-19-ის ტესტი დადებითი აღმოჩნდა.

**ინგლისი** — მიკელ არტეტას კორონავირუსის გამო პრემიერლიგის დამდეგი ტურის მატჩი „ბრაიტონი“ — „არსენალი“ გადაიდო. „მეთოფეები“ კარანტინში გავიდნენ და, ბუნებრივია, თამაში ვერ შედგება.

**ფორმულა 1** — ავსტრალიის დიდი პრიზი ოფიციალურად გადაიდო.

**საფრანგეთი** — ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყანაში თამაშები შეაჩერა.

**სამხრეთ ამერიკა** — კონმებოლის გადაწყვეტილებით, კოპა ლიბერტადორესის 2020 წლის გათამაშება შეწყდა.

**ინგლისი** — „მანჩესტერ სიტის“ მცველი ბენჟამენ მენდი თვითიზოლაციაშია, რადგან შიშობენ, რომ მისი ოჯახის წევრს კორონავირუსი აღენიშნება.

**ინგლისი** — დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან შეთანხმებით პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩემპიონატი შეუფერხებლად მაყურებლებით გაგრძელდეს მიუხედავად იმისა, რომ „ლესტერის“ ფეხბურთელებს სიმპტომები აღენიშნებათ.

**ინგლისი** — ლივერპულში კორონავირუსის 10 შემთხვევა დადასტურდა, იმ ქალაქში, სადაც „ენფილდ როუდზე“ ცოტა ხნის წინათ ჩემპიონთა ლიგის მატჩი შეუფერხებლად ჩატარდა და „ატლეტიკოს“ 3 ათასი ქომაგიც დაესწრო.

**უეფა** — უეფამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 17 მარტს თავისი წევრი ქვეყნების ასოციაციებთან ვიდეოკონფერენციას გამართავს, სადაც განხილვის თემა ევროთასები, მოახლოებული შესარჩევი მატჩები და ევრო 2020 იქნება.

**ესპანეთი** — „რეალ სოსიედადის“ ქალთა გუნდის ორი ფეხბურთელი კორონავირუსით დაინფიცირდა.

**კალათბურთი** — ევროლიგა და ევროთასი კორონავირუსის გამო გაურკვეველი ვადით შეჩერდა.

**წყალბურთი** — ტოკიოს ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირი, რომელიც 10 დღეში უნდა დაწყებულიყო და რომელშიც საქართველოს ნაკრებს უნდა ეთამაშა, მაისისთვის გადაიდო.

**ინგლისი** — „ლესტერის“ ფეხბურთელებს სიმპტომები აღენიშნებათ.

**საქართველო** — რაგბი ევროპამ მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა ტურნირი 15 აპრილამდე შეაჩერა. შესაბამისად, საქართველო — რუსეთის დღევანდელი მატჩი გადაიდო.

**აშშ** — MLS-ის ჩემპიონატი 30 დღის ვადით შეჩერდა.

**პორტუგალია** — ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ჩემპიონატი დაუდგენელი ვადით შეწყდა.

**ნიდერლანდი** — ერედივიზიონი და მეორე დივიზიონი 31 მარტამდე შეჩერდა.

**იტალია** — საფეხბურთო კლუბმა „ლეჩემ“ საწვრთნელი პროცესი შეწყვიტა.

NBA — კორონავირუსით რუდი გობერის შემდეგ „იუტა ჯაზის“ კიდევ ერთი კალათბურთელის, დონოვან მიტჩელის დაინფიცირება დადასტურდა.

**იტალია** — „ვერონა“ მთელი გუნდით კარანტინში გადავიდა, რადგან მან ოთხი დღის წინათ მანოლო გაბიადინის წინააღმდეგ ითამაშა.

**იტალია** — გენუის „სამპდორიას“ თავდამსხმელ მანოლო გაბიადინის კორონავირუსის ტესტი დადებითი აღმოჩნდა.

**ინგლისი** — „ლესტერ სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა ბრენდან როჯერსმა განაცხადა, რომ რამდენიმე ფეხბურთელს კორონავირუსის სიმპტომები აღენიშნება და ისინი გუნდისგან იზოლირებულნი არიან.

**ჩოგბურთი** — ATP-მ მომდევნო 6 კვირის განმავლობაში ყველა ტურნირი გაუქმა.

**უეფა** — ჩემპიონთა ლიგის ორი მერვედფინალური მატჩი: „მანჩესტერ სიტი“ — „რეალი“ და „იუვენტუსი“ — „ლიონი“ გაურკვეველი ვადით გადაიდო, რადგან მადრიდელები და ტურინელები კარანტინში იმყოფებიან.

**სამხრეთ ამერიკა** — კონმებოლმა ფიფას მუნდიალის შესარჩევი ეტაპის პირველი ორი ტურის თარიღის შეცვლა სთხოვა.

**უეფა** — 17 და 19-წლამდელ ნაკრებთა ელიტ-რაუნდის მატჩები 30 დღის ვადით გადაიდო.

**ესპანეთი** — ლა ლიგა გაურკვეველი ვადით შეწყდა. სავარაუდო ზარალი 700 მლნ ევროა.

**ესპანეთი** — მადრიდის „რეალი“ კარანტინში გადავიდა, რადგან საკალათბურთო გუნდის ერთ-ერთ მოთამაშეს კორონავირუსი დაუდასტურდა. ვინაიდან ფეხბურთელები და კალათბურთელები ერთ ბაზაზე ვარჯიშობენ, ზინედინ ზიდანის გუნდიც შეჩერდა.

**აშშ** — NBA-ს მიმდინარე სეზონი გაურკვეველი ვადით შეწყდა.

**ჭიდაობა** — ტოკიოს ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**საქართველო** — საქართველოში 1 აპრილამდე შეწყდა ფეხბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის ჩემპიონატები.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ პეკინი 2022

# სამუშაოები განაახლეს

**ჩინეთის მთავრობამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (IOC) აცნობა, რომ სრულად განაახლა პეკინის 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც კორონავირუსის გამო დროებით შეჩერებული იყო.**

პეკინი-2022-ის საორგანიზაციო კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, სპორტულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოები გრძელდება. მისი განცხადებით, ყველა არენა და დამხმარე ინფრასტრუქტურა, გეგმისამებრ, წლის ბოლომდე მზად იქნება.

**ბეჟან დოლიძე**

◎ ინტერნეტიდან

# პაგანის ვნებანი

**ვისაც ტელეკომპანია „სპორტიტალიისათვის“ ერთხელ მაინც შეუხედავს, ამ არხზე მონარნარე ტელეწამყვან ასულთა შორის აუცილებლად გამოარჩევდა ლუდოვიკა პაგანის, რომელიც გარეგნობითაც კარგი რამ არის და, როგორც აპენინებზე ამბობენ, არც სპორტის ცოდნა დაეწუნება.**

იგი ფეხბურთის დიდი მოყვარულია, თუმცა, უცნაური ისაა, რომ კონკრეტული საყვარელი გუნდი არ ჰყავს და სხვადასხვა მატჩების დროს, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, ლამაზ ფეხბურთს გულშემატკივრობს. უფრო მეტიც , ხშირად „სკუადრა აძურასაც“ კი არ ქომაგობს ისე მხურვალედ, როგორც იქაური მიწის შვილს შეშვენის.

მშვენიერი ლოდოვიკა ამჯერად ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ არხზე ორ სპორტული თემატიკის გადაცემას უძღვება. მათ შორის ერთი გადაცემა კლასიკური თოქ-შოუს ხასიათს ატარებს და იტალიელ სპორტის მოყვარულებში, თურმე, დიდად პოპულარულიც ყოფილა.

**გიორგი შოთაძე**

# გამოიკვეთა საქართველოში ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადმოტანის მცდელობა

(მეცხრე გვერდიდან)

თავად შიიტებიც ერთგვაროვანნი არ არიან, პირობითად შეიძლება, ორ ნაწილად გავყოთ: ირანისა და ერაყის სკოლების მიმდევრები. რაც შეეხება გარდაბანს, განსაკუთრებით ფონიჭალასა და გაჩიანში შიიტები მეტნი არიან და გავლენაც იგრძნობა. იგივე შიიტურ მეჩეთებში რომ შეხვიდეთ, ატრიბუტიკა და ა.შ., — ყველაფერი ირანიდანაა იმპორტირებული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ირანის რელიგიური დოქტრინის გაზიარებისა, ქრისტიანულ მოსახლეობასთან პოზიტიური ურთიერთობის ქონას მაქსიმალურად ცდილობენ: ულოცავენ ქრისტიანულ დღესასწაულებს და ა.შ.



**— ბუნებრივია, რელიგიურ გავლენას თან პოლიტიკურიც ახლავს. გასაგებია, რომ მეზობელ სახელმწიფოზე ვსაუბრობთ, მაგრამ იმ მოვლენების კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც ამჟამად ირანის ირგვლივ ხდება, მსგავსი გავლენა საქართველოსთვის რა რისკებს წარმოშობს?**

— ვფიქრობ, ამჟამად საქართველოსთვის ყველაზე დიდი რისკი ახლო აღმოსავლეთში ისლამის მიმდინარეობებს შორის არსებული რელიგიური შუღლის გადმოტანაა. ამის ჩანასახოვანი ფორმა ფონიჭალაში უკვე იყო: მოსახლეობის დიდი ნაწილი შიიტია, ხოლო დაახლოებით 20%, რომელიც ადრე შიიტი იყო, გახდა სალაფიტი. შიიტურ და სალაფიტურ მოსახლეობას შორის დაპირისპირება რამდენჯერმე მოხდა, მათ შორის, მოსახლეობამ სალაფიტური მეჩეთის მშენებლობა გააპროტესტა. მეჩეთთან დაკავშირებულ ინციდენტს კი სალაფიტების მიერ შიიტი ახალგაზრდის მკვლელობა უძღოდა წინ. კი ცდილობენ, მკვლელობა ყოფით ნიადაგზე მომხდარ დაპირისპირებას დაუკავშირონ, თუმცა საინტერესო რამ მოხდა: მკვლელობის შემდეგ შიიტმა მოსახლეობამ სამგლოვიარო მსვლელობა მოაწყო და წინა რიგებში ორი ფოტო გამოფინა — გარდაცვლილი ახალგაზრდის და შიიტი შეიხის, რომელიც საუდის არაბეთის ხელისუფლებამ (საუდის არაბეთის ხელისუფლება სუნიტურია) სიკვდილით დასაჯა. ეს სიმბოლიზმი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტის საქართველოში გადმოტანის მცდელობაა და ესაა ყველაზე დიდი საფრთხე. ფონიჭალის მაგალითი ამ რისკზე მიუთითებს. სამწუხაროდ, ამის საპასუხოდ ჩვენი ხელისუფლების მხრიდან კონკრეტულ ნაბიჯებს ვერ ვხედავ, — ვერც რელიგიათაშორის დიალოგს, ან რაიმე სხვა პრევენციულ ღონისძიებებს.

**— და ბოლოს: კვლევას პოლიტიკური ნაწილიც ახლდა: მიუთითებთ, ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების რაოდენობა გაზრდილიაო. პრაქტიკიდან ვიცით, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არჩევნებში ყოველთვის მმართველი გუნდის კანდიდატი თუ პარტია იმარჯვებდა. ამ განწყობების ზრდას რა განაპირობებს: მოქალაქეობრივი თვითშეგნების ზრდა (უფრო კრიტიკულად უდგებიან საკითხებს), ოპოზიციური პარტიები მუშაობენ აქტიურად, თუ რა ხდება?**

— ბევრი ფაქტორი. მაგალითად, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე, ფაქტობრივად, ფეოდალი იყო და ადგილობრივებს მისი მმართველობისგან ბევრი ტრავმა ახსოვთ, იყო დისკრიმინაცია. მერე ხელისუფლება შეიცვალა და ბევრისგან გამიგია, „იმ დროს თავი ადამიანებად ვიგრძენით“, „მიშამ სიტყვა „თათარი“ აკრძალაო“. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აგრესიული ქმედებები არ ყოფილა, თუმცა გაიზარდა ეთნონაციონალისტური რიტორიკა, სხვადასხვა ეთნიკური კლანებისადმი მხარდაჭერა და ა.შ. გარდა ამისა, აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების აქტივისტები. ამ ყველაფრის შედეგი ის იყო, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნების დროს გარდაბანში ყველა აზერბაიჯანულ უბანზე წააგო, თუმცა მოიგო ქართული უბნები.

**„აქცენტი“**

# ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2019 წლის ანგარიში

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი დაფუძნდა 1996 წლის 11 ივნისს, იუსტიციის სამინისტროს მიერ. საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 1998 წლისს 3 ივლის იუსტიციის სამინისტროში.

ფონდმა განვლილი პერიოდის განმავლობაში მრავალი შესანიშნავი ღონისძიება განახორციელა, 2019 წელს ტრადიციულად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ფონდმა პანაშვიდი გადაუხადა სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპულ ბიჭებს, ფონდის მიერ გაშენებულ ხსოვნის ხეივანში და ყვავილებით შეამკო მათი ხსოვნის ქვა.

საახალწლოდ ფონდმა შერატონ მეტეხ პალასში ობოლ ბავშვებს მიუოცა ახალი წელი, სადაც მათ ჰქონდათ სადღესასწაულო კონცერტი, სუფრა და სხვადასხვა სიურპრიზები.

ფონდის დირექტორი
**ლია პაპიაშვილი**

◎ სულიერება

**15 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს გრიგოლი პალამას.**

...გრიგოლი პალამამ ოცი წლის ასაკში დაიწყო მოღვაწეობა ვატოპედის მონასტერში. უდავოა, რომ მისი მოღვაწეობა ვატოპედის მონასტერში და

# დიდმარხვის მეორე კვირიაკე

სხვაგანაც ისეთი წმინდანების რანგში გადის, როგორიცაა ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ათანასე და სხვა სწავლულები...

საგულისხმოა ისიც, რომ 1332 წლიდან გრიგოლი პალამა (თესალონიკელი) მდუმარე მლოცველი გახდა.

დიდმარხვის მეორე კვირიაკეს მოხსენიებული გრიგოლი პალამას დამსახურება და ღვაწლია ისიც, რომ ჩვენთვის ყველასათვის სილამაზით ცნობილი ათონის მთა სწორედ მის ხელში აყვავებულა, ამასვე გვიდასტურებენ თანამედროვე მამებიც...

...მუდამ უნდა გვახსოვდეს წმინდა გრიგოლი პალამას გამონათქვამი: **„ღატაკი — ეს არის შენი კარი, შენ თავად კი — ღვთის კარის წინ მდგარი ღატაკი. როგორც შენ მოექცევი შენს მთხოვნელს, ისე მოგექცევა შენც ღმერთი“.**

P. S. დიდმარხვის მეორე შაბათს, ე. ი. 14 მარტს მიცვალებულთა მოხსენიებაა.

**გიული ლიპარტია**

# გარდაიცვალა მწერალი და ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი



**ქართველი გერმანულენოვანი მწერალი და ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

გივი მარგველაშვილი 1927 წელს ბერლინში, ქართველი ემიგრანტის ოჯახში დაიბადა, 1946 წელს ის მამასთან ტიტე მარგველაშვილთან ერთად მოტყუებით გადაიყვანეს ბერლინის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში, დააპატიმრეს და საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. ტიტე მარგველაშვილი დახვრიტეს, გივი მარგველაშვილი კი საქართველოში გადმოასახლეს.

გივი მარგველაშვილმა გერმანიაში დაბრუნება მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს შეძლო. 2011 წელს მწერალი ისევ თბილისში დაბრუნდა საცხოვრებლად.

1991-1992 წლებში გერმანიაში გამოქვეყნდა გ. მარგველაშვილის მრავალტომიანი რომანის „კაპიტანი ვაკუშის“ 2 ტომი, აგრეთვე რომანები „მუცალი“ „დიდი კორექტურა“, პროზაული კრებულები „გადაუგდებელი ხელთათმანი“, „სიცოცხლე ონტოტექსტში“.

2006 წელს გივი მარგველაშვილს გერმანიაში გოეთეს მედალი მიანიჭეს.

2015 წელს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

# კეთილმოეწყო გლდანის ტბის მიდამოები

**გლდანის რაიონის გამგეობის მიერ პატარა ტბის დასახლებაში, ზაქარია მაისურაძის ქუჩის მონაკვეთზე, საგზაო სამუშაოები დასრულდა. ამ მისამართზე სანიაღვრე ქსელი მოეწყო, რის შემდეგაც საგზაო სამუშაოები განხორციელდა და დაახლოებით, 4 422 კვადრატულ მეტრ ფართობზე ორი ფენა ასფალტის საფარი დაიგო, მოეწყო ბორდიური და ფეხით სავალი ბილიკები.**

თბილისის მერიის ინფორმაციით სამუშაოებისთვის,რომელსაც გლდანის რაიონის გამგეობის დაკვეთით, შპს „იბერი“ ასრულებს, 281 591 ლარია გათვალისწინებული.

მიმდინარე წელს გამგეობის მიერ სხვადასხვა ქუჩის მოწესრიგება მიმდინარეობს,მათ შორის უკვე დასრულდა ანდრონიკაშვილის II შესახვევის, ლიბანის ქუჩიდან 9 ძმა ხერხეულიძის ქუჩამდე მისასვლელი გზის, ღვალაძის ქუჩის მონაკვეთის, სოფელ გლდანში 26 მაისის IX ჩიხის ასფალტის საფარის მოწყობა. მუხიანის I მიკრორაიონის №13 და ლიბანის №29-31, ა მიკრორაიონის №48-50 კორპუსების მიმდებარედ კი ეზოს მოწესრიგება დასრულდა. გარდა ამისა, ამ ეტაპზე კორპუსების შიდა ეზოს მოწესრიგება 5 მისამართზე მიმდინარეობს. უმოკლეს დროში კი დასრულდება ხერგიანის და ჭელიძის ქუჩებზე გზის საფარის მოწყობაც.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ჩიქობავას ქ. №42/5. 599 79-76-79; 568 82-09-84

# „მე პანიკაში ჩავარდნილი ხალხი მაფიქრებს“

ბათუმელი ნოდარ ცინცაძე სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს. ის წერს, რომ მზად არის კარანტინისთვის მოქალაქეებს საკუთარი ფართი შესთავაზოს.

**„განცხადება! მე ნოდარ ცინცაძე. 3 დღეში დავამთავრებ ოთახების გადაღებვას პირველ სართულზე. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში მყავს მცირეწლოვანი, მზად ვარ სახელმწიფოს დავუთმო შესაბამისი ფართი მოქალაქეთა თვითიზოლაციისთვის. წარმოდგენილი მაქვს, ფსიქოლოგიურად რა მძიმეა კარანტინში ყოფნა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ თავი იგრძნოს ოჯახურ გარემოში. მე არ მეშინია კორონავირუსის, მე პანიკაში ჩავარდნილი ჩემი ხალხი მაფიქრებს. 14 მარტს მზად მექნება 45 კვ/მ-ის ფართი. ჩვენ ახლა ერთმანეთის გვერდით დგომა გვჭირდება. ღმერთმა დალოცოს საქართველო“.**

# პანაშვიდი ხალხის გარეშე

**ხარაგაულში მეზობლები პანაშვიდზე არ მივიდნენ, რადგან გარდაცვლილის ქვრივი დაკრძალვისთვის იტალიიდან ჩამოვიდა.**

ქალი ოთხი დღის წინ დაბრუნდა და თვითიზოლაციის წესი დაარღვია. ის ამ დრომდე სოფელში იმყოფება. მოსახლეობის თქმით, ქალს ქმარი გარდაეცვალა და იტალიიდან ამის გამო დაბრუნდა. თუმცა, უსაფრთხოებიდან გამომდინარე პანაშვიდებზე მეზობლები არ მივიდნენ. ადგილობრივები ამბობენ, რომ შეშინებულები არიან, რის გამოც ქალის ერთ-ერთმა მეზობელმა სოფელი უკვე დატოვა.

სოფელ ხუნევში ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლებს სამართალდამცველებთან ერთად ელოდებიან. სოფლის რწმუნებულის ინფორმაციით, ქალის კარანტინში გადაყვანა იგეგმება.

# ევერესტზე ასვლა დროებით შეიზღუდა

**კორონავირუსის ეპიდემიის გავრცელების გამო ჩინეთისა და ნეპალის ხელისუფლებებმა ევერესტზე ასვლა დროებით გააუქმეს.**

ევერესტზე ასვლის საგაზაფხულო სეზონის დაწყებამდე, ნებართვები არ გაიცემა.

თავის მხრივ, ნეპალის მთავრობის განცხადებით, ამ ნებართვების გაცემა 14 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით შეჩერდება.

უწყებაში ასევე ურჩიეს უცხოელებს, რომ 14 მარტიდან ქვეყანაში შემოსვლის შემთხვევაში 14-დღიანი კარანტინი გაიარონ.

# ვირუსმა ფორსაჟი ჩააგდო

**ამერიკული ფილმების სტუდიამ Universal Pictures-მა 12 მარტს დაანონსა, რომ ფორსაჟის გამოსვლის თარიღი დაახლოებით 1 წლით გადაიწევს, რაც კორონავირუსის გავრცელებითაა განპირობებული. ფილმის გამოსვლა 2021 წლის აპრილამდე გადაიდო, — ინფორმაციას ამის შესახებ Los Angeles Times-ი ავრცელებს.**

ფორსაჟის ახალი ნაწილი ქართველი მაყურებლისთვის იმითაა მნიშვნელოვანი, რომ რამდენიმე სცენა საქართველოშია გადაღებული და გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ფილმის ბოლო 15 წუთი მოქმედება საქართველოში განვითარდება.

ფორსაჟმა ოფიციალურ ტვიტერ გვერდზე ფანებს მიმართა და ყველას მადლობა გადაუხადა იმ ინტერესისთვის, რომლითაც ისინი ახალ ნაწილს ელოდებიან.

# რას მიირთმევენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი?

**ევროპის სიმსუქნის სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტებმა ერთმანეთს შეადარეს აშშ-ის და რუსეთის პრეზიდენტების, ასევე გერმანიის კანცლერის კვების რაციონი.**

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, მიუხედავად 73 წლის ასაკისა, ფასტფუდის ერთგულია. მისი რაციონი შედგება ჰამბურგერების, ყველისა და კვერცხის სენდვიჩების, პიცის, ბეკონის, შემწვარი ქათმის ფრთების, კარტოფილი ფრისა და სხვადასხვა სოუსებისგან. ტრამპი არ სვამს ალკოჰოლს, მიირთმევს კოფეინიან კოკა-კოლა ლაითს და შოკოლადის კოქტეილს. მისი სხეულის წონის ინდექსი 30,4-ია, რაც მსუბუქ სიმსუქნეს აღნიშნავს. შეგახსენებთ, რომ აშშ-ში მოსახლეობის სიმსუქნის ინდექსი 37,3%-ია.

გერმანიის 65 წლის კანცლერი ანგელა მერკელი გერმანული სამზარეულოს ერთგულია — სოსისები და ძეხვეული სოუსებით, კარტოფილის პიურე, ყველის ფონდიუ და ლუდი. ვახშამზე ძირითადად ბოსტნეულს მიირთმევს. გერმანიაში სიმსუქნის ინდექსი 25,7%-ს შეადგენს.

რუსეთის პრეზიდენტის 67 წლის ვლადიმირ პუტინის კვების რაციონია მჭლე ხორცი, მსუქანი და ნახევრადმსუქანი თევზი, ბოსტნეული, ფაფეული და კვერცხი. პუტინი არ სვამს ალკოჰოლს, თუმცა, იშვიათად მიირთმევს ღვინოს და ლუდს, ერიდება მაგარ სპირტიან სასმელებს. რუსეთში სიმსუქნის ინდექსი ასევე 25,7%-ს შეადგენს.

# მსოფლიოს უძველესი ხმალი

**იტალიაში ერთ-ერთ ვენეციურ კუნძულზე აღმოაჩინეს ანტიკური ხმალი. ხმალი იპოვეს იტალიური მონასტრის ე.წ ცნობისმოყვარეობის ოთახში. თავდაპირველად ის შუა საუკუნეების არტეფაქტი ეგონათ. ფილოსოფიის ერთ-ერთმა სტუდენტმა კი გამოარკვია, რომ ხმალი რეალურად 5 000 წლის იყო. ანატოლიური (დღევანდელი თურქეთი) არტეფაქტი მსოფლიოში უძველესია.**

წმინდა ლაზარუსის კუნძული, სადაც ეს ხმალი აღმოაჩინეს, არის პატარა კუნძული, რომელიც სამხრეთ ვენეციიდან 2 კილომეტრში მდებარეობს და მისი ფართობი დაახლოებით სამი ჰექტარია. ანატოლიელი მეომრები ცენტრალურ ევროპაში ქრისტეს შობამდე 4 000 და 3 000 წლებში გადასახლდნენ. მკვლევარების აზრით, ამ ტიპის ხმალი დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ ანატოლიის პატარა რეგიონისთვის, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან მდებარეობს.


# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5

ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქოგულია

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა

„კოლორ პრესში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!


## უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9494; ევრო - 3.3145;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7575;
100 რუბლი - 3.9416; თურქული ლირა - 0.4731;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7371;
1000 სომხური დრამი - 6.0695.

## ამინდი 14 მარტისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე | +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე | +24 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე | +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5 | დღე | +14 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე | +17 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84

ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru

და sakresp@top.ge

ვებ-გვერდი: www.sakresp.ge